პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

პარასკევი
16
ივლისი
1937 წ.
№ 161 (4962)

დღეს გაზეთშია:

დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების კანონი (მითაური).
ბ. თევფიკ რუშთუ არასის და შუქრუ კაიას მიღება ამხ. მ. ი. კალინინის მიერ.
თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის და შინაგან საქმეთა მინისტრის მიღება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ.
— საუზმე ამხ. მ. მ. ლიტვინოვთან თურქი სტუმრების პატივსაცემად.
— ხელი მოაწერეს სასაზღვრო კონვენციას სსრ კავშირსა და თურქეთს შორის.
— მოსკოვ-ვოლგას არხის მშენებლობის [illegible] ქარხნების მუშაკთა—დაჯილდოვების შესახებ სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

მარჩფილდი (კალიფორნია), 15 ივლისი 37 წ.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, ჩუბარს, კალინინს, კაგანოვიჩს, კოსიორს, მიქოიანს, ანდრეევს, ჟდანოვს, ეჟოვს, რუხიმოვიჩს, მეჟლაუკს, ხრუშჩოვს, ალქსნისს, შმიდტს, ბულგანინს, ტუპოლევს

არ გვყოფნის სიტყვები, რათა გამოვთქვათ ჩვენი მადლობა პარტიისადმი, მთავრობისადმი, პირადათ თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, გულთბილი მისალმებისათვის.

ჩვენი წარმატება ცხადჰყოფს ძალას და სიმძლავრეს დიადი საბჭოთა კავშირისა, რომელიც ერთი-მეორეზე აღწევს გამარჯვებებს.

ბედნიერი ვიქნებით შემდეგშიაც შევასრულოთ ყოველგვარი დავალება საყვარელი სამშობლოს სასარგებლოდ.

გრომოვი.
იუმაშევი.
დანილინი.

დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების კანონი!

სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევი კანონია. საკოლმეურნეო წარმოების სწორად წარმართვა, შეძლებული, საამური, კულტურული ცხოვრების მიღწევა, შრომის სოციალისტური ჩვევების დანერგვა, კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, მტრებისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადაქცევა შეუძლებელია, თუ არ იქნა მტკიცედ დაცული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, ამ წესდების ყველა მუხლი გამოუკლებლივ.

უკვე წელი სრულდება ამხ. ბერიას მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმზე. ამ მოხსენებამ ისტორიული, პირდაპირ გარდატეხის როლი ითამაშა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცების საქმეში. ჩვენი მუშაობის მიღწევა-ნაკლოვანებათა ღრმა, მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე ამ მოხსენებაში ნათლად, მკაფიოდ, გარკვეულად დასახულ იქნა უდიდესი ამოცანები.

რას გვეუბნება პრაქტიკა, განვლილი გზის გამოცდილება, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის შეუპოვარი ბრძოლის შედეგები?

უდავოა, საკოლმეურნეო ფრონტზე უდიდესი წარმატებებია მიღწეული. ადგილობრივმა პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა გაშალეს ბოლშევიკური ბრძოლა ნაკლოვანებათა ხელმოსაფხვრელად კოლმეურნეობათა მუშაობასა და მათზე ხელმძღვანელობის საქმეში. გაშლილი ბრძოლის დედააზრი, მოკლედ რომ ვთქვათ, სტალინური წესდების, როგორც საკოლმეურნეო ცხოვრების გარდუვალი კანონის, მტკიცედ დაცვასა და განხორციელებაში მდგომარეობდა. სტალინური წესდება გადაიქცა საკოლმეურნეო წარმოების კანონად. საკოლმეურნეო გლეხობა საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებითაც დარწმუნდა ამ კანონის ყოვლისშემძლეობაში. წინ მიდის ის კოლმეურნეობა, რომელიც ურყევად ემყარება სტალინურ წესდებას, ყოველდღიურად ხელმძღვანელობს ამ წესდების თვითეული მუხლით, აწყობს შრომის ორგანიზაციას ამ წესდების საფუძველზე, იცავს შრომისა და წარმოების მაღალ კულტურას. ამ მხრივ საკოლმეურნეო წარმოებასა და თვით საკოლმეურნეო მასების შეგნებაში მიღწეულია დიდი წარმატებანი.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სტალინური წესდების განხორციელებისათვის მუშაობა და ბრძოლა ყველგან სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, რომ ადგილი არა აქვს წესდების უხეშად დამახინჯებას, წესდებიდან ოპორტუნისტულ გადახვევას? არა, არ ნიშნავს. სტალინური წესდების დამახინჯების ფაქტები საკმაოდ მოიპოვება დღემდე. ორიოდე მაგალითი ამის ნათელსაყოფად.

„კომუნისტის" 5 ივლისის ნომერში დაიბეჭდა მიწსახკომის მუშაკის ამხ. ცინცაძის მეტად დამაფიქრებელი წერილი სათაურით—„სტალინური წესდების დამახინჯებანი". საქმე ეხება ერთერთ მოწინავე რაიონს, როგორიც ჯუღელის რაიონია.

ირკვევა, რომ ჯუღელის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წყობილების კანონი უხეშად ირღვევა. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ის სავალალო ფაქტი, რომ სტალინური წესდების მოთხოვნილებანი სწორად როდი აქვს თურმე გაგებული თვით რაიონის აღმასკომს და, კერძოდ, მის თავმჯდომარეს ამხ. შარიქაძეს! რაიაღმასკომის პრეზიდიუმი ამტკიცებს, ასწორებს ამა თუ იმ კოლმეურნეობის წესდებას, მეტი კიდევ — არც კი ეკითხება კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, თითქოს მათი დასწრება წესდების რეგისტრაციის დროს აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდეს!

ჯუღელის რაიაღმასკომი უფრო შორს მიდის. რაკი იგი სტალინური წესდების დედააზრში სათანადოდ ვერ გარკვეულა, ცხადია, ამ წესდების დამახინჯებაში თვითონაც „აქტიურად" მონაწილეობს. ამის „სანიმუშო" მაგალითია ის ყოვლად დაუშვებელი ფაქტები, რომლებიც შეეხება კოლმეურნეობებისათვის მიწის ჩამოჭრას.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ ჯუღელის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუგვარებელია შრომის ორგანიზაცია, უარყოფილია სანარდო სისტემა, გამეფებულია გათანაბრება, დარღვეულია შრომადღეების პრინციპი— შრომის სოციალისტური ორგანიზაციისა და საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების ეს ურყევი საფუძველი.

ვფიქრობთ, ჯუღელის რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, რაიონის ბოლშევიკები სათანადო დასკვნას გამოიყვანენ „კომუნისტის" სიგნალიდან, გამოავლინებენ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონის დარღვევათა ყველა შემთხვევას, მიიღებენ გადამჭრელ ზომებს და მდგომარეობას ბოლშევიკურად გამოასწორებენ, ხოლო დანარჩენი რაიონებიც ჯუღელის რაიონის მაგალითს უყურადღებოდ არ დასტოვებენ.

ჯუღელის რაიონი ერთადერთ გამონაკლისს როდი შეადგენს. სტალინური წესდების დამახინჯების ცალკეულ შემთხვევებს ადგილი აქვს ბევრ სხვა რაიონშიაც. აიღეთ, მაგალითად, სტალინური წესდების ისეთი ძირითადი მოთხოვნილება, როგორიცაა საკოლმეურნეო დემოკრატია. იგი ბევრგან უხეშად, ტლანქად, ბიუროკრატულად ირღვევა, ფეხქვეშ ითელება. ჩვენ კი ვიცით, საკოლმეურნეო დემოკრატიის გარეშე შეუძლებელია საკოლმეურნეო წარმოების აყვავება. საკოლმეურნეო დემოკრატია ცარიელი ფრაზა როდია, როგორც ეს ტვინგამშრალ ბიუროკრატს წარმოუდგენია. საკოლმეურნეო დემოკრატია თვითეული კოლმეურნის საწარმოო და პოლიტიკური აქტივობაა, ენერგიული, აქტიური თავდადებული მონაწილეობაა საკოლმეურნეო ცხოვრების მშენებლობაში.

ეს უდავო ჭეშმარიტება ბევრგან დღემდე შეგნებული არაა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ გორის რაიონის პრაქტიკა. სოფ. ატენის, სვენეთის, ქახვრელისა და კარალეთის კოლმეურნეობებში უკვე შექმნილია მავნე ტრადიცია, აქ კოლმეურნეთა კრებებზე სწყვეტენ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ კრებებს წევრთა 30—40 პროცენტი ძლივს ესწრება. ამ კოლმეურნეობათა გამგეობები საერთო კრების დაუკითხავად ხშირად სწყვეტენ ისეთ ძირეულ საკითხს, როგორიცაა კოლმეურნეობიდან გარიცხვა. რა არის ეს თუ არა კოლმეურნეთა უფლებების აბუჩად აგდება! სად არიან რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები, რატომ თავის დროზე არ ღებულობენ სათანადო ზომებს?

აქ არაფერს ვლაპარაკობთ სტალინური წესდების დარღვევის ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა სარევიზიო კომისიების უმოქმედობა ბევრ კოლმეურნეობაში, ქალთა შრომის გამოუყენებლობა, კოლმეურნეობაში შესვლის შესახებ შეტანილ განცხადებათა განხილვის ბიუროკრატულად გაჭიანურება, საკოლმეურნეო აღრიცხვის მოუგვარებლობა. ამისი მაგალითები ბევრია. ეს მოწმობს, რომ სტალინური წესდების განხორციელებისათვის ბრძოლა ოდნავადაც არ უნდა შენელდეს, მიღწევებმა თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს, სერიოზული ნაკლოვანებანი მხედველობის არედან არ უნდა გამოგვეპაროს.

სტალინური წესდება საკოლმეურნეო წყობილების კანონია. ამ კანონის განხორციელებისათვის შეუპოვარი ბრძოლა თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის, თვითეული კოლმეურნის ღირსების საქმეა.

ხელი მოაწერეს სასაზღვრო კონვენციას სსრ კავშირსა და თურქეთს შორის

მოსკოვი, 15 ივლისი (საქდესი). 15 ივლისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ხელი მოაწერეს კონვენციას სსრ კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სასაზღვრო ინციდენტთა და კონფლიქტთა განხილვისა და გადაჭრის წესის შესახებ.

სსრ კავშირის მხრით კონვენციას ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვმა, თურქეთის რესპუბლიკის მხრით—თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მოსკოვში ბ-ნ ზეკიაი აპაიდინმა.

„ანტ-25"-ის დაშვების ადგილზე

საბჭოთა კავშირის გმირის მ. მ. გრომოვის განცხადება „პრავდის" კორესპონდენტისადმი

მარჩფილდი (კალიფორნია), 14 ივლისი. („პრავდის" სპეც. კორესპონდენტი). (საქდესი). 10 საათსა და 0,5 წუთზე გრინვიჩის დროით, ოკლენდის აეროდრომიდან აფრინდა სწრაფმავალი თვითმფრინავი, რომ მოენახა და დასწეოდა „ანტ-25"-ს. თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდნენ საბჭოთა კონსული ამხ. გოხმანი, „პრავდის" სპეციალური კორესპონდენტი, საკ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტი და სხვები. ჩვენმა თვითმფრინავმა გამოიკვლია წყნარი ოკეანის მთელი სანაპირო სან-ფრანცისკოდან მექსიკის საზღვრამდე. გადავუარეთ ბეკერფილდს, ლოს-ანჟელოსს, მარჩფილდს, სან-დიეგოს. თავს დავტრიალებდით პატარა აეროდრომებს, მაგრამ „ანტ-25"-ის კვალი ვერ აღმოვაჩინეთ. დავეშვით სან-დიეგოში და გადავწყვიტეთ—დავეცადა. და უცებ—სასიხარულო ამბავი: მივიღეთ ცნობა, რომ გრომოვი მშვიდობიანად დაეშვა 15 მილის მანძილზე მარჩფილდიდან, სადაც ჩვენ ამასწინათ გადავფრინდით. იგი დაეშვა სამი მილის მანძილზე სან-ჯასინტოდან.

ჩვენ მივფრინდით გრომოვის დაშვების ადგილზე. თვითმფრინავ „ანტ-25"-ს გარს ეხვეოდნენ ასობით ადამიანები. ათობით ავტომობილები მიჰქროდნენ დაშვების ადგილისკენ. ქალაქ მარჩფილდიდან ჩამოვიდა სამხედრო აეროდრომის სარდლობა. საბჭოთა მფრინავების პატივსაცემად ზარბაზნების სალუტი მოახდინეს.

პირველ მხურვალე მისალმებათა შემდეგ გმირული ეკიპაჟი ქალაქში გაემგზავრა. მფრინავებმა წესრიგში მოიყვანეს თავი, გაიპარსნენ და ტანისამოსი გამოიცვალეს. სამივე საუცხოოდ გამოიყურება, თითქოს არც კი მოეხდინათ თავისი ისტორიული გადაფრენა.

გრომოვი გვიამბობს: „ჩვენ გადაფრენა დავამთავრეთ 62 საათსა და 17 წუთში, გავიარეთ რა 10 ათას კილომეტრზე მეტი. ჩვენ მივფრინდით სან-დიეგომდე, მაგრამ ნისლმა აეროდრომი დაჰფარა და უკან დაბრუნება მოგვიხდა 140 კილომეტრის მანძილზე. ჩვენ დავამყარეთ ორი მსოფლიო რეკორდი სიშორეზე პირდაპირი და ტეხილი ხაზით. დანილინის ბრწყინვალე ოსტატობამ ხელი შეგვიწყო გაგვეტარებინა თვითმფრინავი იდეალური პირდაპირი ხაზით. ჩვენ არ ვცვლიდით მიმართულებას, არამედ ვცვლიდით მხოლოდ სიმაღლეს. ჟანგბადი ბევრი დაგვრჩა. ყველაზე მძიმე უბანი იყო პოლუსის ახლოს, სადაც ორი ციკლონი გავკვეთეთ".

გმირ-მფრინავების სახელზე დაიწყო მისასალმებელი დეპეშების მიღება. ჩამოვიდნენ ათობით კორესპონდენტები, ფოტოგრაფები, კინოოპერატორები. პირველი წერილი მოსკოვიდან ჩრდილოეთის პოლუსით, მოტანილი თვითმფრინავ „ანტ-25"-ით, მიიღო „პრავდის" კორესპონდენტმა.

ახლა თვითმფრინავის ეკიპაჟი ისვენებს.

ლ. ხვატი.

აეროდრომ „მარჩფილდში" ჩასვლის შემდეგ

აეროდრომი „მარჩფილდი" (ქალაქი რივერსაიდი), 14 ივლისი (საკ. დეპ. სააგენტოს სპეც. კორესპონდენტი). (საქდესი). ამხანაგები გრომოვი, იუმაშევი და დანილინი—საუცხოოდ გრძნობენ თავს არქტიკულ უდაბნოებსა და ჩრდილო ამერიკის ტერიტორიაზე უმძიმესი გადაფრენის შემდეგ. ჩამოსვლისთანავე მფრინავებმა პირი დაიბანეს, გაიპარსნენ, ტანისამოსი გამოიცვალეს. ვიდრე დაისვენებდნენ, მათ განცხადებები მისცეს პრესის წარმომადგენლებს. მათ სურათებს იღებდნენ ფოტოგრაფები და სხვ. მფრინავებს მიესალმა გენერალი ემონსი, სამხედრო აეროდრომ „მარჩფილდის" უფროსი. „მარჩფილდში" მფრინავების ჩამოსვლის ცნობის შემდეგ აეროდრომზე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა. ჩამოვიდა რამდენიმე თვითმფრინავი ჟურნალისტებით სან-ფრანცისკოდან და ლოს-ანჟელოსიდან.

აეროდრომი „მარჩფილდი" (ქალაქი რივერსაიდი), 14 ივლისი (საკ. დეპ. სააგენტოს სპეც. კორესპონდენტი) (საქდესი). კალიფორნიის ყოველი მხრიდან ადამიანთა მასები მიეშურებიან „ანტ-25"-ის დაშვების ადგილისკენ სან-ჯასინტოს ახლოს. სამხედრო დამცველი რაზმი ძლივს აკავებს მუშათა, ფერმერთა, კოვბოითა მასას—სხვადასხვა ეროვნებათა ადამიანებს—ინდოელებს, მექსიკელებსა და სხვებს, რომლებიც მიისწრაფიან დაათვალიერონ ისტორიული თვითმფრინავი.

საბჭოთა მფრინავები ისვენებენ სამხედრო აეროდრომ „მარჩფილდში", სადაც მოდის ასობით მისასალმებელი დეპეშები ავიატორებისა, მეცნიერებისა და სხვადასხვა დაწესებულებებისგან.

ნიუ-იორკი, 14 ივლისი (საქდესი). დღეს საღამოს მფრინავები ავტომობილით მიემგზავრებიან სან-დიეგოში. დიდი ოფიციალური დარბაზობა გაიმართება სან-დიეგოში 15 ივლისს.

ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი ჩავიდნენ სან-დიეგოში

ნიუ-იორკი, 15 ივლისი (საქდესი). გუშინ საღამოთი ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი ავტომობილით ჩავიდნენ სან-დიეგოში. „მარჩფილდის" სამხედრო აეროდრომის ოფიცრები გულთბილად გამოეთხოვნენ საბჭოთა გმირებს და კვლავ ულოცავდნენ მათ სარეკორდო გადაფრენას.

დღეს სან-დიეგოს სავაჭრო პალატა მართავს საუზმეს საბჭოთა მფრინავების პატივსაცემად.

მოსკოვი

ამხანაგ სტალინს, მოლოტოვს

ნიუ-იორკიდან, 14 ივლისი, 1937 წ.

ბედნიერი ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენი მფრინავები უვნებლად დაეშვნენ სან-ჯასინტოში (კალიფორნია), რომელიც ლოს-ანჟელოსის სამხრეთით მდებარეობს; მათ დაფარეს დაახლოებით 10.300 კილომეტრი მანძილი, რითაც გადააჭარბეს შორსფრენის მსოფლიო რეკორდს. თქვენის ხელმძღვანელობით მიღწეულია ახალი ბრწყინვალე გამარჯვება, რასაც გულითადად მოგილოცავთ.

კაგანოვიჩი,
როზოვი.

ამერიკის შეერთებული შტატები
კალიფორნიის შტატი, მარჩფილდი
თვითმფრინავ „ანტ-25"-ის ეკიპაჟს

ამხანაგებს გრომოვს, იუმაშევს, დანილინს

ძმური სალამი თქვენი ბრწყინვალე გადაფრენის გამო მარშრუტით მოსკოვი-ჩრდილოეთის პოლუსი—ამერიკის შეერთებული შტატები.

საერთაშორისო მუშათა კლასი და მთელი კულტურული მსოფლიო აღტაცებულია თქვენი გმირობით, სიმამაცით და ოსტატობით, რომელიც კულტურას, პროგრესს, სოციალიზმს ემსახურება.

მაგრად ვართმევთ ხელს დიადი საბჭოთა კავშირის სახელოვან გმირებს.

დიმიტროვი
ერკოლი
მანუილსკი
მარტი
კუუსინენი
პიკი
გოტვალდი
მ. ა. მოსკვინი
ფლორინი
ვან მინი

რუზველტის და ხელლის მისალმებანი

ვაშინგტონი, 14 ივლისი (სასწრაფო). (საქდესი). პრეზიდენტმა რუზველტმა საბჭოთა კავშირის გმირს ამხ. გრომოვს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„მე დიდი კმაყოფილებით შევიტყვე, რომ თქვენ და თქვენმა კოლეგებმა წარმატებით დაამთავრეთ გადაფრენა მოსკოვიდან კალიფორნიაში, დაამყარეთ რა ამგვარად, როგორც მე ვფიქრობ, ახალი მსოფლიო რეკორდი. თქვენი მიღწევები დიდ აღტაცებას იწვევენ, და მე თქვენ მხურვალედ მოგილოცავთ".

სახელმწიფო მდივანი ხელლი ამხ. გრომოვის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში სწერს:

„მე ეს-ეს არის დიდი კმაყოფილებით გავიგე, რომ წარმატებით დამთავრდა თქვენი სარეკორდო გადაფრენა მოსკოვიდან კალიფორნიაში და გულწრფელად გილოცავთ ამას თქვენ და თქვენი ეკიპაჟის წევრებს".

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი დევისი „ანტ-25"-ის გადაფრენის შესახებ

მოსკოვი, 14 ივლისი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საბჭოთა კავშირში ბ-ნმა დევისმა საკ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა გრომოვის, იუმაშევის და დანილინის გადაფრენის შესახებ:

— მხურვალედ მივესალმები რა საბჭოთა მფრინავებს მათი წარმატებითი ხელახალი გადაფრენის გამო მოსკოვიდან ჩრდილოეთის პოლუსით შეერთებულ შტატებში, დარწმუნებული ვარ, რომ გამოვთქვამ ჩემი მთავრობისა და ჩემს თანამემამულეთა გრძნობებს.

ამ მეორე წარმატების მნიშვნელობა მდგომარეობს არა იმდენად იმაში, რომ დამყარებულია ახალი მსოფლიო რეკორდი, რამდენადაც იმაში, რომ პირველი გადაფრენა უკვე ჰკარგავს შემთხვევის ხასიათს ან სენსაციის ხასიათს. იგი გვიჩვენებს აგრეთვე, რომ თქვენი შესანიშნავი მფრინავების გონებითი გაქანება, გაბედულობა და სიმამაცე დამყარებულია სავსებით მეცნიერულ, ქმედ და ნიჭიერ ორგანიზაციაზე, რაც საავიაციო აქტივობას წარმართავს საბჭოთა კავშირში. უფრო მეტი, ეს გადაფრენები გარკვევით ხელს უწყობს მსოფლიო ავიაციის პროგრესს.

მე პირადად ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეს საუცხოო მფრინავები მშვიდობით და სავსებით უვნებლად ჩაფრინდნენ ჩემს ქვეყანაში.

გამოხმაურება მეორე ძირსდაუშვებელ გადაფრენაზე მარშრუტით მოსკოვი—ჩრდილო ამერიკა

ლონდონი, 14 ივლისი (საქდესი). ლორდი სემპილი, ინგლისის ავიაციის გამოჩენილი მოღვაწე საკ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში შეეხო მეორე ტრანსპოლარულ გადაფრენას მარშრუტით მოსკოვი—შეერთებული შტატები და განაცხადა:

„ეს—ფრიად შესანიშნავი და ერთერთი ყველაზე საუცხოო გადაფრენაა სამოქალაქო ავიაციის ანალებში. მე სპეციალურად მაინტერესებს ნამდვილად შორსმჭვრეტელი მუშაობა, რომელსაც სსრ კავშირი ეწევა არქტიკასა და სუბარქტიკაში". ლორდ სემპილმა ხაზგასმით აღნიშნა: განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს ის გარემოება, რომ გადაფრენა მოხდა ძველი ქვეყნიდან ახალ ქვეყანაში და რომ, ამრიგად, მიღწეულია გზის შემოკლება მრავალი ასეული მილით და დროის დიდი შემცირება. მფრინავებმა, განაგრძობდა იგი, დაიმსახურეს ფრიად დიდი მილოცვა. დასასრულ ლორდ სემპილმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირი ეწევა ძვირფას მეტეოროლოგიურ მუშაობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამინდის პირობები ევროპაში დამოკიდებულია იმ ცვლილებებზე, რომლებიც არქტიკის რაიონებში ხდება.

სერ ალიოტ ვერდონ რომ, ინგლისის დიდმა საავიაციო მრეწველმა, საკ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„მე უგულითადესად მივულოცავ ყველას, ვინც დაკავშირებულია ამ შესანიშნავ გმირობასთან. მსოფლიომ უნდა შეიგნოს, რომ საბჭოთა მთავრობა ძალიან სერიოზულად მუშაობს ავიაციის დარგში". როს სიტყვით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირი ავიაციას იყენებს მშვიდობიანი მიზნებისათვის.

ნოულერმა, საუნდერს როს საავიაციო ქარხნების მთავარმა კონსტრუქტორმა, საკ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„სსრ კავშირს შეუძლია იამაყოს თავისი მფრინავების გმირობით. საბჭოთა კავშირს უნდა მივულოცოთ შორსფრენის რეკორდი. ეს არის შესანიშნავი მიღწევა, რომელიც მოწმობს მოტორის საიმედოობას, ისევე როგორც მთლიანად თვითმფრინავის ძალიან მაღალ ხარისხს. თვითმფრინავის ეკიპაჟმა დიდი ოსტატობა გვიჩვენა არქტიკის აერონავიგაციაში, სადაც მიწაზე არ მოიპოვება ისეთი ნიშნები, რომლებიც კურსის გამორკვევის საშუალებას იძლეოდნენ. შემდგომი შესაძლებლობანი დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ და სხვა დაკვირვებებზე, რომლებსაც საბჭოთა პოლარელები ახდენენ ჩრდილოეთის პოლუსზე. ის გარემოება, რომ ეს გზა სსრ კავშირსა და ახალ ქვეყანას შორის მიმოსვლის განსახორციელებელ ხაზს წარმოადგენს, დამტკიცებულია იმით, რომ ამ გზით გადაფრენა ორჯერ მოხდა".

ნიუ-იორკი, 14 ივლისი (საქდესი). ცნობილმა პოლარელმა მკვლევარმა სტეფანსონმა, „მკვლევართა კლუბის" თავმჯდომარემ, მფრინავებს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„მკვლევართა კლუბის" სახელით გილოცავთ შესანიშნავ მიღწევას".

საკ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში სტეფანსონმა განაცხადა:

„საბჭოთა მფრინავების მიღწევა სიხარულით ავსებს ყველა მკვლევარის გულს. სიშორის რეკორდს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმ სიზუსტესთან შედარებით, რომლითაც განმეორდა გადაფრენა. იგი მოწმობს მფრინავთა გასაოცარ ოსტატობას, მთელი საქმის საოცარ ორგანიზაციას და საბჭოთა თვითმფრინავების შესანიშნავ კონსტრუქციას".

მთელი საბჭოთა ქვეყნის დღესასწაული

(საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში)

მოსკოვი, 15 ივლისი (საქდესი). 15 ივლისს სსრ კავშირის დიდ თეატრში შესდგა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად. სხდომა მიეძღვნა მოსკოვ-ვოლგის არხის გახსნას.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით მიესალმნენ ამხ. ეჟოვის, ხრუშჩოვის, ბულგანინის, ბერმანის, ვოლკოვის, ფილატოვის, ჟუკის, კოგანის და სხვ. გამოჩენას ტრიბუნაზე.

შესავალ სიტყვას ამბობს მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბულგანინი.

— ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნებასურვილით, — ამბობს იგი, — ვადაზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაცემულია მოსკოვ-ვოლგის არხი.

მქუხარე, დიდხანს დაუცხრომელი ოვაცია იწყება დარბაზში, როცა ამხ. ბულგანინი ახსენებს ამხანაგ სტალინის სახელს, რომლის იდეა არხის მშენებლობის შესახებ ბრწყინვალედ განხორციელდა.

შემდეგ ამხ. ბულგანინი დედაქალაქის და ოლქის ყველა მშრომელის სახელით, მოსკოვის ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის სახელით მხურვალედ მიულოცავს შესანიშნავი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკებს და მათ მებრძოლ ხელმძღვანელს ამხ. ეჟოვს. დარბაზში კვლავ ჰქუხს ტაში.

მქუხარე ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ ამხ. სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, კოსიორს, ჩუბარს, ჟდანოვს, ეჟოვს, ხრუშჩოვს, დიმიტროვს, ტელმანს, ხოზე დიასს.

შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობის უფროსს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ბერმანს.

ორკესტრის ხმაურში ტრიბუნაზე ადის დროშებით დედაქალაქის მუშათა და მუშა ქალთა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და მოსამსახურეთა დელეგაცია.

გადასცემს რა მათი სახელით მისალმებას პარტიისა და მთავრობის ბელადებს, აგრეთვე მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობის ყველა მონაწილეს, ამხ. ბუბნოვი ლაპარაკობს უდიდესი სტალინური მზრუნველობის შესახებ ადამიანზე, ლაპარაკობს იმაზე, რომ საბოლოოდ ბარდება შორეულ წარსულს ძველი მოსკოვი.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები: სტალინი, მოლოტოვი და ჟდანოვი. აღფრთოვანებული, დიდხანს დაუცხრომელი ოვაციით ეგებებიან დამსწრენი ხალხთა დიდ ბელადს და მის თანამებრძოლებს. ჰქუხს მრავალათასიანი „ვაშა" და შეძახილები: „გაუმარჯოს გამარჯვებათა ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს ამხანაგ სტალინს".

არხის მშენებელთა სახელით გამოდის ამხ. პოპოვი.

საზეიმო სხდომა ღებულობს მისალმებას „ანტ-25"-ის გმირული ეკიპაჟის ამხ. გრომოვისა, იუმაშევისა და დანილინისადმი, რომლებმაც ახალი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი სამშობლოს სასახელოდ. კვლავ ჰქუხს ოვაცია ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

ბ. თევფიკ რუშთუ არასის და შუქრუ კაიას მიღება ამხ. მ. ი. კალინინის მიერ

მოსკოვი, 15 ივლისი (საქდესი). 14 ივლისს, 19 საათზე სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ი. კალინინმა მიიღო თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი **თევფიკ რუშთუ არასი** და თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი **შუქრუ კაია**. მინისტრებს თან ახლდა თურქეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი **ზექიაი აპაიდინი**. მიღებას დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. **ლიტვინოვი**.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის და შინაგან საქმეთა მინისტრის მიღება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ

მოსკოვი, 15 ივლისი (საქდესი). გუშინ, ა.-წ. 14 ივლისს თურქეთის მინისტრები, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი **თევფიკ რუშთუ არასი** და შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი **შუქრუ კაია** მიიღო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. **მოლოტოვმა**.

მიღებას დაესწრნენ: თურქეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი **ზექიაი აპაიდინი** და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. **ლიტვინოვი**.

საუბრის შემდეგ ამხ. ვ. მ. **მოლოტოვმა** ბ. **თევფიკ რუშთუ არასის** და **შუქრუ კაიას** პატივსაცემად გამართა სადილი.

სადილს, ზემოხსენებულ პირთა გარდა, დაესწრნენ ამხ. კ. ე. **ვოროშილოვი**, ლ. მ. **კაგანოვიჩი**, ა. ი. **მიქოიანი**, ვ. ი. **მეჟლაუკი**, ნ. ი. **ეჟოვი**, ს. კ. **სუდინი**, ვ. პ. **პოტიომკინი**, ბ. ს. **სტომონიაკოვი**, ს. მ. **ბუდიონი**, პ. მ. **კერჟენცევი**, ნ. ა. **ბულგანინი**, მ. ა. **კარსკი**, ო. ი. **თხიპოვი**, ა. მ. **მოგილნი**, ბ. **რახმი აპაკი**, **შუქრუ შენოზანი** — თურქეთის დიდი ნაციონალური კრების დეპუტატები, ბ-ნი **ხილმი ბაიური** — თურქეთის საელჩოს პირველი მდივანი, ბ-ნი **რეფიკ ამირი**—საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი, ამხ. ვ. ნ. **ბარკოვი**, ა. ვ. **ზასლავსკი**, ა. ფ. **მილერი**.

სადილის დროს ამხ. ვ. მ. **მოლოტოვმა** და ბ. **თევფიკ რუშთუ არასმა** ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი სიტყვებით.

შემდეგ კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის წევრები, საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელები, საბჭოთა საზოგადოებრიობის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პრესის წარმომადგენლები.

◆

საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი გამოემგზავრნენ სსრ კავშირში

ნიუ-იორკი, 14 ივლისი (საქდესი). დღეს საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი გემ „ნორმანდიით" ნიუ-იორკიდან გაემგზავრნენ სსრ კავშირში. ნავსადგურში შეიკრიბნენ მრავალრიცხოვანი გამცილებელნი, მათ შორის მკვლევარი სტეფანსონი, აგრეთვე სხვა მკვლევარები და მფრინავები. წამსვლელთ მხურვალე გაცილება მოუწყეს. საბჭოთა კავშირის გმირებს დიდძალი ყვავილები მიართვეს.

გემის გასვლის წინ ამხ. ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა განაცხადეს შემდეგი:

„ჩვენ ღირსშესანიშნავ დღეს მივდივართ. ჩვენმა მეგობრებმა ამხ. გრომოვმა, იუმაშევმა და დანილინმა კვლავ დაამტკიცეს ტრანსპოლარული გზის დადგენის შესაძლებლობა.

ჩვენ კვლავ მადლობას ვუცხადებთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, დაწესებულებებს, მეცნიერულ ორგანიზაციებსა და პრესას, აგრეთვე მრავალრიცხოვან მეგობრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ ძვირფასი დახმარებისათვის, რომელიც მათ ჩვენს გადაფრენას აღმოუჩინეს, და მხურვალე მიღებისათვის. ჩვენ ვთვლით, რომ ეს მიღება მოგვიწყეს არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენს ქვეყანასაც და იქ მოსახლე ხალხებსაც".

◆

სსრ კავშირის ა. ვ. კოსარევის სახ. ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისიის ცნობა

თვითმფრინავ „ანტ-25"-ის ეკიპაჟმა: საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. მ. მ. **გრომოვმა**, მაიორმა ამხ. ა. ბ. **იუმაშევმა** და მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერმა ამხ. ს. ა. **დანილინმა** სსრ კავშირის ა. ვ. კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისიას განუცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ პირდაპირი ხაზით სიშორეზე ფრენის მსოფლიო რეკორდის დამყარება.

სასპორტო კომისიამ გამოჰყო სასპორტო კომისრები თვითმფრინავის სტარტის ადგილზე (შჩელკოვის აეროდრომი) და თვითმფრინავის გაფრენის ფიქსაციისათვის ტრასაზე.

მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება დაშვების ადგილის ზუსტი კოორდინატები, ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური საავიაციო ასოციაციის სასპორტო კომისრების მოხსენებანი და მოტანილი იქნება მოსკოვში თვითმფრინავზე დადგმული ხელსაწყოები— სსრ კავშირის ა. ვ. კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბი საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის წინაშე დასვამს პირდაპირი ხაზით სიშორეზე ფრენის ახალი მსოფლიო რეკორდის დამტკიცების საკითხს.

**სასპორტო კომისიის თავმჯდომარე
ბრიგადის მეთაური მ. დეიჩი.**

მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობისა და მიმწოდებელი ქარხნების მუშაკთა დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შესანიშნავი წარმატებებისათვის მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობის საქმეში დაჯილდოვებულ იქნას:

ლენინის ორდენით:

1. გ. დ. აფანასიევი — ხლებნიკოვსკის რაიონის უფროსი.
2. ბ. ა. ამენიცკი — № 414 მოსკოვის ნაგებობის უფროსი.
3. ა. ი. ბაუმგოლცი — მშენებლობის ენერგო-სამონტაჟო განყოფილების უფროსი.
4. ი. მ. ბოვშოვერი — ზავიდოვსკის რაიონის უფროსი.
5. პ. ი. ვასილენკო — ვოლგის რაიონის სამუშაოთა უფროსის თანაშემწე.
6. ბ. ა. ვასნეცოვი — მონუმენტთა ნაგებობის მშენებლობის უფროსი.
7. ი. ნ. ვოზნესენსკი — მშენებლობისენერგო-სამონტაჟო სექტორის კონსულტანტი.
8. პ. ქ. გეორგიევსკი — მშენებლობის მექანიკური ქარხნის უფროსი.
9. მ. ბ. გრანოვსკი — სხოდნენსკის რაიონის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი.
10. გ. დ. გრანკინი — წყალსადენის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
11. ი. ფ. ჟაიკინი — სამხრეთის რაიონის უფროსი.
12. ვ. დ. ჟურინი — მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილე.
13. ა. ნ. კომაროვსკი — ცენტრალური რაიონის სამუშაოთა უფროსი.
14. ა. ი. კოჩეგაროვი — პერერვინსკის უბნის უფროსი და სამუშაოთა უფროსი.
15. ი. ნ. კოსტროვი — სამხრეთის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
16. მ. პ. მუცენკო — სამდინარო ნავსადგურის სამუშაოთა უფროსი.
17. გ. ნ. მაშტეტი — ვოლგის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
18. მ. ს. მურავიოვი — მშენებლობის ტოპოგრაფიულ გამოკვლევათა განყოფილების უფროსი.
19. მ. ი. მარჩუკი — მშენებლობის პარტკომის და საკ. კ. პ. (ბ) დმიტროვსკის რაიკომის მდივანი.
20. ვ. ი. მაკუხო — კარამიშევსკის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
21. ხ. ფ. ნიკოლაევი — რაიონ „ტემპის“ სამუშაოთა უფროსის მოადგილე.
22. მ. ი. პაპიროვსკი — მშენებლობის ავტო-სატრაქტორო განყოფილების უფროსი.
23. გ. ე. პავსკი — № 4 რაბის ნაგებობის უფროსი.
24. ს. ი. პოგარსკი — № 5 რაბის ნაგებობის უფროსი.
25. მ. ნ. პოპოვი — მშენებლობის საგეგმო - საწარმოო განყოფილების უფროსი.
26. ი. ი. პლინერი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბანაკთა მთავარსამმართველოს უფროსის მოადგილე.
27. ფ. ტ. პროხორსკი — ცენტრალური რაიონის უფროსი.
28. ა. მ. რუხლიადევი — მშენებლობის უფროსი არქიტექტორი.
29. ქ. პ. ხალამოვი — რაიონ „სორევნოვანიეს“ სამუშაოთა უფროსი.
30. ი. ს. სემიონოვი — მშენებლობის ტექნიკური განყოფილების უფროსის თანაშემწე.
31. ვ. ა. სემენცოვი — მშენებლობის მთავარი ინჟინრის თანაშემწე და გეოლოგიური განყოფილების უფროსი.
32. პ. ზ. სიმანოვსკი — დმიტროვსკის ბანაკის უფროსის მოადგილე.
33. ი. ვ. სკაჩკოვი — № 1 რაბის ნაგებობის უფროსი.
34. ე. ა. სტავიცკი — ცენტრალური რაიონის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი.
35. ა. მ. ტელეგინი — ხლებნიკოვსკის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
36. ა. ა. უსიევიჩი — წყალსადენის რაიონის უფროსი.
37. დ. ვ. უსპენსკი — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დმიტროვსკის ბანაკის უფროსის მოადგილე.
38. ა. ი. ფიდმანი — მშენებლობის მთავარი ინსპექტორი.
39. ნ. დ. ხოლინი — მშენებლობის ჰიდრომექანიზაციის განყოფილების უფროსი.
40. ს. ვ. შესტოპეროვი — მშენებლობის საბეტონო განყოფილების უფროსი.
41. ტ. ი. იუდინი — რაიონ „ტექნიკის“ საექსკავატორო სამუშაოთა უფროსი.
42. ვ. დ. იასტრებოვი — კარამიშევსკის რაიონის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსის მოადგილე.

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. მ. დ. ბერმანი — მშენებლობის უფროსი (წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოვებული).
2. ს. ი. ჟუკი — მშენებლობის მთავარი ინჟინერი (წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოვებული).
3. ლ. ი. კოგანი — მშენებლობის ყოფ. უფროსი, ამჟამად სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე (წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოვებული).
4. ს. ფ. ანზიგიტოვი — მცველი რაზმის უფროსი.
5. პ. თ. ასტახოვი — მშენებლობის თანამშრომელი.
6. ტ. ფ. გოროხოვსკი — მშენებლობის თანამშრომელი.
7. ვ. ა. დინზა — რაიონ „ტექნიკის“ განყოფილების უფროსი.
8. ა. პ. ერმაკოვი — შინაგან საქმეთასახალხო კომისარიატის ბანაკთა მთავარსამმართველოს უფროსის თანაშემწე.
9. ი. ი. ილინი — დმიტროვსკის ბანაკის განყოფილების უფროსის მოადგილე.
10. ბ. ა. კუვიკინი — მშენებლობის საბეტონო განყოფილების კონსულტანტი.
11. მ. მ. კუზნეცოვი — სხოდნენსკის რაიონის უფროსი.
12. ი. დ. კრენგაუზი — რაიონ „სორევნოვანიეს“ უფროსი.
13. ლ. პ. ლებედევი — მშენებლობისთანამშრომელი.
14. ა. დ. მერლინი — მშენებლობის თანამშრომელი.
15. ფ. ე. მოლევიჩი — მშენებლობის თანამშრომელი.
16. ლ. დ. მირომანოვი — დმიტროვსკის ბანაკის განყოფილების უფროსის თანაშემწე.
17. პ. მ. მიკლაშევსკი — მშენებლობის საბეტონო განყოფილების კონსულტანტი.
18. ქ. ნ. პონომარევი — მშენებლობის თანამშრომელი.
19. ქ. ა. პერეკრესტოვი — დმიტროვსკის ბანაკის მცველი რაზმის უფროსი.
20. მ. ი. სემიონოვი — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოსკოვის ოლქის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს უფროსი — მილიციის კაპიტანი.
21. ი. ქ. სტეპანოვი — მცველი განყოფილების მეთაური.
22. ვ. ა. ტილინინი — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დმიტროვსკი რაიგანყოფილების უფროსი.
23. ნ. ა. ტიხომიროვი — მცველთა დივიზიონის მეთაური.
24. მ. ტ. ხარკინი — დაცვის ოცეულის პოლიტხელი.
25. ვ. ს. შილინი — მშენებლობის თანამშრომელი.

შრომის წითელი დროშის ორდენით:

1. ს. ა. ასუშკინ — ხლებნიკოვსკის რაიონის საარმატურო სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
2. ე. ა. არხანგელსკი — მშენებლობის ენერგო - სამონტაჟო განყოფილების უფროსის მოადგილე.
3. ი. ვ. აგაფონოვი — № 32 კაშხლის ნაგებობის უფროსის თანაშემწე.
4. ვ. ი. აფონინი — რაიონ „სორევნოვანიეს“ საექსკავატორო სამუშაოთა მწარმოებლის თანაშემწე.
5. პ. ფ. ალიფერენკო — წყალსადენისარხის ნაგებობათა კვანძის უფროსი.
6. ს. ნ. ანდრიანოვი — № 183 წყალსაქაჩი სადგურის ჰიდრო მონტაჟის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
7. გ. ფ. ანტროპოვი — რაიონ „სორევნოვანიეს“ საექსკავატორო მემანქანე.
8. გ. პ. აგაფონოვი — მშენებლობისსაბეტონო სამუშაოთა განყოფილების უფროსი ინჟინერი.
9. პ. ა. აფანასიევი — მშენებლობისენერგო-სამონტაჟო განყოფილების უფროსი ინჟინერი.
10. ტ. გ. არანდარენკო — დმიტროვსკის ბანაკის სანგანყოფილების ექიმი-ქირურგი.
11. ი. ე. აპოლონოვი — ლენინგრადის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის უფროსი ოსტატი — კონსულტანტი.
12. ა. ს. ბაჩელისი — მშენებლობის ხიდების განყოფილების უფროსი.
13. ლ. ი. ბერენზონი — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და მშენებლობის საფინანსო განყოფილების უფროსი.
14. ი. ი. ბერხმანი — რაიონ „ტექნიკის“ სამუშაოთა უფროსი.
15. გ. ვ. ბურენკოვი — ხიმკინსკის კაშხლის ნაგებობათა უფროსი.
16. ა. ა. ბელოგოლოვი — ხიმკინსკისხიდის მშენებელი ინჟინერი.
17. ა. ვ. ბუდასი — სხოდნენსკის რაიონის სამუშაოთა უფროსის მოადგილე.
18. ე. ა. ბაჟანოვი — იკშინსკის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
19. ა. ი. ბურმინსტროვი — № 7 რაბის საბეტონო სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
20. ა. გ. ბუცკი — წყალსადენის რაიონში შემრევის ნაგებობის უფროსი.
21. ვ. ი. ბერლინი — კიროვსკის საექსკავატორო ქარხნის თუჯის მსხმელი საამქროს უფროსი
22. დ. ვ. ვასილიევი — რაიონ „ტექნიკის“ 1 უბნის უფროსი.
23. ნ. ვ. ვიშნიაკოვი — № 32 მიწისკაშხლის ნაგებობის უფროსი.
24. ბ. ს. ვიხმანი — სამხრეთის რაიონის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი.
25. ა. ფ. ვერიოვკინი — ექსკავატორის უფროსი მემანქანე.
26. ვ. გ. ვეგმანი — იქშინსკის რაიონის უფროსი არქიტექტორი.
27. დ. ი. ვოლკოვი — ვოლგის რაიონის საარქიტექტურო - საამშენებლო განყოფილების უფროსი.
28. ა. ვ. ვიშნევსკი — № 186 წყალსაქაჩი სადგურის ნაგებობის უფროსის თანაშემწე.
29. ე. დ. ვული — იქშინსკის რაიონის უფროსი.
30. ნ. ნ. ვორობიევი — მშენებლობის ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი.
31. გ. გ. ვერბოვსკი — ნოვო-კრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხნის ონკანმშენებლობის უფროსი.
32. ი. ი. გიმელმანი — ხლებნიკოვსკის რაიონის უფროსის მოადგილე.
33. ი. გ. გინზბურგი — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბანაკთა მთავარსამმართველოს სანგანყოფილების უფროსი.
34. მ. ე. გობერმანი — მშენებლობის თანამშრომელი.
35. ფ. ფ. გრიშინი — № 2 რაბის სამონტაჟო სამუშაოთა მწარმოებელი.
36. გ. მ. გრავანოვი — ვოლგის რაიონის პარტკომის მდივანი.
37. ვ. ვ. გავრილოვი — ვოლგის რაიონის უფროსის თანაშემწე.
38. მ. ა. გორინი — წყალსადენის რაიონის საპროექტო განყოფილების უფროსი.
39. გ. ა. გერლახი — ნარანდის ჩასოზის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
40. ი. ა. გლაგოლევი — რაიონ „ტექნიკის“ მეორე უბნის საექსკავატორო სამუშაოთა უფროსი.
41. პ. ი. გერცევი — აკულოვსკის წყალსაგდების მიწის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
42. ა. დ. გარიჩევი — რაიონ „ტემპის“ ჰიდრომექანიზაციის უფროსი.
43. ვ. ვ. გორდეევი — მშენებლობის ტექნიკური განყოფილების ნაწილის უფროსი.
44. ვ. ი. გრუშინი — ტოპოგრაფიულ გამოკვლევათა განყოფილების მინდვრის სამუშაოთა ნაწილის უფროსი.
45. გ. ფ. გლოტოვი — ტოპოგრაფიულ გამოკვლევათა განყოფილების ნაწილის უფროსი.
46. ვ. ფ. გუხევი — ქარხანა „ბორეცის“ სამონტაჟო განყოფილების უფროსი.
47. ა. ვ. დოლგოვი — მშენებლობის ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილე.
48. ვ. პ. დმიტრიევი — № 8 რაბის ნაგებობის უფროსი.
49. ი. გ. დმიტრიევი — ლითონ-მონტაჟის განყოფილების უფროსის თანაშემწე.
50. პ. მ. ევსიუკოვი — სხოდნენსკის რაიონის წყალსადენის აუზის უფროსი.
51. ი. დ. ეგოროვი — № 40 კაშხლის და № 11 რაბის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
52. ვ. ს. ეფიმენკო — გალიავინსკის ბორცვის ნაგებობის უფროსის მოადგილე.
53. ზ. პ. ელკინი — მშენებლობის საერთო მომარაგების განყოფილების უფროსი.
54. ა. ნ. ჟულენევი — № 184 წყალსაქაჩი ნაგებობის უფროსი.
55. მ. ი. ჟულტიკოვი — ქარხანა „სოიუზსტალმოსტის“ სამჭედლო საამქროს უფროსი.
56. ლ. ს. ზაზოვსკი — რაიონ „ტემპის“ უფროსი.
57. ა. ს. ზავიონოვი — რაიონ „ტემპის“ საარქიტექტურო - საამშენებლო განყოფილების უფროსი.
58. გ. გ. ზერცალოვი — № 21 ბეტონის კაშხლის ნაგებობის უფროსი.
59. დ. ს. ზახაროვი — № 1 ნაგებობის უფროსი.
60. ა. ლ. ზენკევიჩი — ორევსკის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
61. ა. ა. ზიკოვი — ცენტრალური რაიონის უფროსის თანაშემწე.
62. ს. ნ. ზახაროვი — ექსკავატორის უფროსი მექანიკოსი.
63. ა. ე. ზემსი — ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი.
64. ა. დ. ილინი — მექანიკური ქარხნის უფროსი.
65. ქ. ს. ივანოვი — ელექტრომექანიკური ნაწილის უფროსი.
66. ი. დ. ივანოვი — სატრანსფორმატორო ქარხნის დიდ ტრანსფორმატორთა საამქროს უფროსის თანაშემწე.
67. ა. ნ. იშჩენკო — რაიონ „სორევნოვანიეს“ ექსკავატორის უფროსი მექანიკოსი.
68. მ. ს. კურინი — მშენებლობის ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსი.
69. ე. გ. კოტომენკო — რაიონ „ტემპის“ სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი.
70. ქ. კრიპაიტისი — ვოლგის რაიონის უფროსის მოადგილე.
71. ი. ნ. კუზმენკო — ბეტონის დიგების სამუშაოთა მწარმოებელი.
72. პ. მ. კოლოდიაჟნი — ექსკავატორის ბრიგადირი - მემანქანე.
73. ნ. რ. კალაშნიკოვი — 184 წყალსაქაჩი სადგურის მონტაჟის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
74. ა. ფ. კოლობოვი — № 184 წყალსაქაჩი სადგურის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი.
75. ბ. ა. კოპტიაევი — ხიმკინსკის ხიდის ინჟინერი - მშენებელი.
76. ა. ს. კუზნეცოვი — წყალსადენის რაიონის უფროსის მოადგილე.
77. ა. მ. კუკლინი — საარქიტექტურო - საამშენებლო განყოფილების უფროსი.
78. ვ. ფ. კრინსკი — სამხრეთის რაიონის უფროსი არქიტექტორი.
79. ი. ვ. კოჩეტოვი — 9 რაბის უფროსი.
80. ქ. ვ. კუკსენოკი — ავტოსატრაქტორო განყოფილების ნაწილის უფროსი.
81. ფ. პ. კრავეცი — რკინიგზის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი.
82. ს. მ. კორმილიცინი — საბეტონო სამუშაოთა განყოფილების უფროსი ინჟინერი.
83. ლ. დ. კოკორინი — საბეტონო ლაბორატორიის უფროსის თანაშემწე.
84. გ. ა. კუვილინი — საბეტონო სამუშაოთა განყოფილების ინჟინერ-ინსტრუქტორი.
85. ა. მ. კისელიოვი — მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.
86. ა. გ. კრასილოვი — მშენებლობის პარტკომის კულტპროპის გამგე.
87. ო. ი. კრიპაიტისი — მშენებლობის მუშაკთა ცოლების საბჭოს თავმჯდომარე.
88. ა. ა. კორიაკოვი — მშენებლობის ფელდკავშირის უფროსი.
89. ო. დ. კაზანსკაია — საბეტონოლაბორატორიის უფროსი.
90. მ. ფ. კოროტკოვი — წყალსადენის რაიონის ნაგებობათა კვანძის უფროსი.
91. ე. ა. კასიმოვსკი — იქშინსკის რაიონის ტექნიკური განყოფილების უფროსი.
92. ვ. ი. კისლიაკოვი — მშენებლობის ლითონმონტაჟის განყოფილების უფროსის მოადგილე.
93. მ. გ. კოჩნევი — ქარხანა „ბორეცის“ უფროსი ინჟინერი.
94. ე. ა. კრილოვი — ტექნიკური განყოფილების ნაწილის უფროსი.
95. ბ. ფ. კარაულოვი — ჰიდროტექლაბორატორიის ჰიდროტექნიკური განყოფილების გამგე.
96. ბ. პ. კალინინი — ჰიდრომონტაჟის საკავშირო კანტორის სამონტაჟო განყოფილების უფროსი.
97. ა. ი. კოზლოვსკი — ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი.
98. პ. ქ. კოშელოვი — კიროვსკის ქარხნის საზეინკლო უბნის უფროსი.
99. ქ. ქ. კვესისი — მშენებლობის ტექნიკური ინსპექციის ინსპექტორი.
100. ვ. პ. ლიხაჩევი — მშენებლობისშემოწმებათა განყოფილების უფროსი.
101. ა. ვ. ლევშინი — კადრების განყოფილების უფროსი.
102. ზ. დ. ლუსკინი — მშენებლობისსაგასხვისებო განყოფილების უფროსი.
103. ვ. ა. ლივანოვი — მშენებლობის სამუშაოთა უფროსი.
104. ე. ი. ლუნინი — საველე საბეტონო ლაბორატორიის უფროსი.
105. ვ. გ. ლგალოვი — გეოტექგანყოფილების მეთოდური ნაწილის უფროსი.
106. ს. ს. ლანკო — ტექნიკური ინსპექციის ინსპექტორი.
107. ი. ი. ლისინი — ხარკოვის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი.
108. ვ. ვ. მაკულოვი — მშენებლობის ჰიდროლოგიის განყოფილების უფროსი.
109. ი. ა. მოროზოვი — ნარანდის ჩასოზის სამუშაოთა მწარმოებელი.
110. მ. ტ. მარტინოვი — მონტაჟის სამუშაოთა მწარმოებელი.
111. ა. ი. მაგიტოვი — აღმოსავლეთის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
112. ვ. ი. მოვჩანი — ცენტრალური რაიონის უფროსი არქიტექტორი.
113. ე. ა. მილიონოვი — ქვისმთლელი ხლებნიკოვსკის რაიონში.
114. გ. ს. მიხალჩენკო — ტექნიკური განყოფილების ნაწილის უფროსის მოადგილე.
115. ვ. ლ. მინკოვი — „ჰიდრომონტაჟის“ საკავშირო კანტორის მთავარი ინჟინერი.
116. გ. ი. მელნიკოვი — მოსკოვის ტექნიკური განყოფილების ნაწილის უფროსი.
117. ი. ფ. მუხინი — მშენებლობის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსის თანაშემწე.
118. გ. ფ. მირჩინკი — მშენებლობის კონსულტანტი.
119. ვ. ვ. მიხაილოვი — ქარხანა „ბორეცის“ საზეინკლო - საამკრებო საამქროს ოსტატი.
120. ა. ვ. მატისენი — ტექნიკური ინსპექციის უფროსის მოადგილე.
121. მ. ვ. ნიკიტინი — მშენებლობისპარტკომის ყოფ. მდივანი.
122. გ. ს. ნეიმანი — ტოპოგრაფიული პარტიის უფროსი.
123. ნ. ვ. ნეკრასოვი — ზავიდოვსკის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
124. ი. გ. ნიკოლაევი — ტექნიკური განყოფილების უფროსის თანაშემწე.
125. მ. დ. ოფშტეინი — № 186 წყალსაქაჩის სადგურის ნაგებობის უფროსი.
126. ი. ვ. ოვჩინიკოვი — გადამღობი ჰიშკრის ნაგებობის უფროსი.
127. ტ. ლ. ომელიანენკო — ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
128. ბ. ვ. პაპლინსკი — სოფლების გადატანის განყოფილების უფროსი.
129. ი. ა. პროცეროვი — რაიონ „ტემპის“ სამუშაოთა უფროსი.
130. ო. პ. პორტიანკინი — № 1-82 წყალსაქაჩი სადგურის ნაგებობის საბეტონო სამუშაოთა მწარმოებელი.
131. ი. ს. პავლოვი — მშენებლობის ვოლგის რკინიგზის შტოს უფროსი.
132. ა. ი. პლატონოვი — იქშინსკისრაიონის სამუშაოთა უფროსი.
133. ა. ლ. პროვალოვი — № 5 რაბის ნაგებობის უფროსი.
134. ს. პ. პანფილოვი — აკულოვსკის კაშხლის ნაგებობის უფროსი.
135. ფ. ფ. პოროშენკო — სხოდნენსკის რაიონის სამუშაოთა უფროსი.
136. ვ. მ. პერლიშა — საარქიტექტურო - საამშენებლო განყოფილების უფროსის მოადგილე.
137. ა. ლ. პასტერნაკი — ცენტრალური რაიონის უფროსი არქიტექტორი.
138. პ. პ. პოლიაკოვი — წყალსადენის რაიონის სამუშაოთა უფროსის თანაშემწე.
139. მ. ე. პლაკიდა — აღმოსავლეთის რაიონის უფროსი ინჟინერი.
140. გ. დ. პეტროვი — საბეტონო სამუშაოთა განყოფილების ნაწილის უფროსი.
141. რ. ნ. პეტრაშენი — ტექნიკური განყოფილების ნაწილის უფროსი.
142. ს. მ. პოლინი — ჰიდროლოგიის განყოფილების უფროსის თანაშემწე.
143. ნ. დ. პავლოვი — გზატკეცილთა ხიდების პროექტების შედგენის ხელმძღვანელი.
144. ს. ი. რუბინშტეინი — სატრანსფორმატორო ქარხნის ტექნიკური დირექტორი.
145. ა. ფ. რუდნევი — ვოლგის რაიონის ტექნიკური განყოფილების უფროსი.
146. პ. ი. რეინიში — ორევსკის რაიონის უფროსი.
147. ქ. ქ. რადეცკი — სტალინის სადგურის მთავარი ინჟინერი.
148. ლ. ი. რუდმინსკი — კარამიშევსკის რაიონის უფროსი.
149. ვ. ვ. რენტოვიჩი — მშენებლობის სამუშაოთა უფროსის თანაშემწე.
150. ფ. ა. რიბალკო — ესკავატორისმემანქანე ბრიგადირი.
151. ქ. ა. რიძევსკი — ცენტრალურირაიონის ტექნიკური განყოფილების უფროსი.
152. ნ. ი. რაისკი — № 183 წყალსაქაჩი სადგურის ნაგებობათა კვანძის უფროსის თანაშემწე.
153. ე. ა. რუდაკოვი — ორევსკის რაიონის ტოპოგრაფიულ გამოკვლევათა განყოფილების უფროსი.
154. გ. ა. რუსო — მშენებლობის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე.
155. მ. პ. როზანოვი — ტექნიკური განყოფილების ნაწილის უფროსის მოადგილე.
156. ვ. ლ. სოკოლოვი — ვოლგის რაიონის უფროსი.
157. პ. ა. სკოპინცევი — რაიონ „ტექნიკის“ საექსკავატორო სამუშაოთა უფროსი.
158. ი. ი. სერპოკრილოვი — ექსკავატორის მემანქანე.
159. ლ. ნ. სოკოლოვი — № 185 წყალსაქაჩი სადგურის ნაგებობათა უფროსი.
160. ი. პ. საზონოვი — წყალსადენის რაიონის სამუშაოთა უფროსის მოადგილე.
161. ნ. ა. სემენჩენკო — ავანპორტისსაექსკავატორო სამუშაოთა უფროსი.
162. ა. დ. სოლდატოვი — კარამიშევსკის რაიონის სამუშაოთა უფროსის მოადგილე.
163. ვ. პ. სობოლევი — მიწის სამუშაოთა განყოფილების უფროსის მოადგილე.
164. ლ. მ. სანდომირსკი — სხოდნენსკის რაიონის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი.
165. ს. ს. საჩენკო — ცენტრალურისაბეტონო ლაბორატორიის განყოფილების უფროსი.
166. დ. ბ. სავიცკი — იქშინსკის რაიონის უფროსი არქიტექტორი.
167. ა. ა. სვიცინი — წყალსადენის მონტაჟის უფროსის მოადგილე.
168. ა. ა. სემიონოვი — ტოპოგრაფიულ გამოკვლევათა საველე პარტიის ინჟინერი.
169. ი. ა. სვერდლოვი — ჰიდროელექტროსადგურის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
170. რ. ი. სიგალი — იქშინსკის რაიონის პარტკომის მდივანი.
171. ა. ნ. სუდაკოვი — აღმოსავლეთის რაიონის უფროსი მექანიკოსი.
172. ე. პ. ტოლსკი — სამონტაჟო სამუშაოთა სექტორის უფროსი.
173. ი. მ. ტეტელბაუმი — სატყეო განყოფილების უფროსი.
174. ე. მ. ტერეშჩენკო — შეფმონტიორი.
175. ნ. ს. ტურბინი — № 1 რაბის სამონტაჟო სამუშაოთა მწარმოებელი.
176. გ. ი. ტიტარენკო — სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
177. მ. ა. ტეპლოვი — საარქიტექტურო - საამშენებლო განყოფილების სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
178. ს. ვ. ტიტოვი — ტექნიკური განყოფილების წყალთა განგარიშების განყოფილების უფროსი.
179. ა. ა. ტვერდისლოვი — წყალთსახალხო კომისარიატის ტექინსპექციის წარმომადგენელი.
180. ბ. ს. უსპენსკი — ენერგომონტაჟის განყოფილების უფროსის თანაშემწე.
181. ა. პ. ფლექსერი — კადრების განყოფილების უფროსი.
182. ვ. მ. ფრადკინი — იახრომსკის კვანძის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი.
183. ფ. პ. ფედოროვი — ხლებნიკოვსკის რაიონის პარტკომის მდივანი.
184. ი. ზ. ფილინი — შჩუკინსკის უბნის უფროსი.
185. ს. ლ. ფედოროვსკი — საბეტონო კომბინატის უფროსი მექანიკოსი.
186. ე. ფ. ფრეიგოფერი — № 7 რაბის უფროსი ინჟინერი.
187. ს. ს. ხორიშკო — მიწის სამუშაოთა განყოფილების უფროსი.
188. ვ. მ. ხურგელი — მშენებლობის საბეტონო განყოფილების უფროსის მოადგილე.
189. ვ. ბ. ხოხლოვი — სამონტაჟო სამუშაოთა სექტორის უფროსის თანაშემწე.
190. გ. ა. ხლოპინი — ტოპოგრაფიულ გამოკვლევათა განყოფილების ინჟინერი.
191. ვ. დ. ციპლაკოვი — გეოლოგიურ - ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე.
192. პ. პ. ჩესტნიხი — ორევსკის რაიონის უფროსის მოადგილე.
193. ი. მ. ჩერნიკი — იქშინსკის რაიონის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი.
194. ნ. ფ. შაპოშნიკოვი — ვოლგისრაიონის ყოფილი უფროსი.
195. ა. ლ. შეხტმანი — № 283 არხის ნაგებობის უფროსი.
196. ე. ლ. შეხტმანი — ექიმი.
197. ბ. მ. შკუნდინი — კარამიშევსკის რაიონის ჰიდრომექანიზაციის უფროსი.
198. მ. ა. შინაკოვა — ჰიდროტექლაბორატორიის უფროსის თანაშემწე.
199. ი. ი. შერშაკოვი — № 73 გადამღობი ჰიშკრის ნაგებობის უფროსი.
200. ა. გ. ეიდუკი — აღმოსავლეთის რაიონის უფროსი.
201. ფ. ფ. ენგელი — საბეტონო სამუშაოთა განყოფილების ცემენტაციის ჯგუფის უფროსი.
202. ი. ბ. იავიცი — დმიტროვსკის ბანაკის კულტურულ - აღმზრდელობითი განყოფილების უფროსი.
203. ე. ი. იაროსლავცევი — ფინანსიური განყოფილების მთავარი ბუხჰალტერი.
204. ი. ი. იანსონი — ენერგოსამონტაჟო განყოფილების უფროსის მოადგილე.
205. ნ. ნ. იაკშინი — სხოდნენსკის რაიონის ტექნიკური განყოფილების უფროსი.
206. ს. დ. იავლენსკი — ცენტრალური რაიონის სამუშაოთა უფროსის თანაშემწე.
207. ი. ა. იაკუბი — № 185 სატუმბო სადგურის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსი.
208. ა. ფ. იაკუშევა — გეოლოგიურ-საგამოკვლევო პარტიის უფროსი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. ვ. ნ. ალიოშინა — პოკროვსკ-გლებოვსკის უბნის სანნაწილის უფროსი.
2. ა. ი. ხრისტოვი — მშენებლობის თანამშრომელი.
3. რ. ო. არნო — ტექმომარაგების განყოფილების უფროსი.
4. ა. ს. ბაბუშკინი — ორევსკის რაიონის უფროსი ინჟინერი.
5. ო. ფ. ბარანოვი — ცოლების საბჭოს წევრი.
6. ნ. მ. ბაშკიცკი — № 9 რაბის სამუშაოთა მწარმოებელი.
7. ი. მ. ბრაინინი — სატყეო განყოფილების უფროსი.
8. ს. ი. ბოჩკოვი — შემამცირებელი სადგურის სამუშაოთა მწარმოებელი.
9. ფ. ვ. ბონდინი — საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი.
10. დ. გ. ბელიაკოვი — დმიტროვსკის რაიაღმასკომის თავმჯდომარე.
11. ს. მ. ბირიუკოვი — ხლებნიკოვსკის არქიტექტორის თანაშემწე.
12. გ. ა. ბუგროვი — სტალინის სახ. ქარხნის ბრიგადირი ზეინკალი.
13. ფ. ნ. ბილეევი — კაზიცკის სახელობის № 210 ქარხნის მექანიკოსი.
14. ს. ვ. ბოევი — მცველი რაზმის მსროლელი.
15. ი. ა. ვასილიევი — დმიტროვსკის რაიონის დამზადებათა რწმუნებული.
16. ნ. ი. ვოლოჩკოვსკი — საერთო მომარაგების განყოფილების უფროსი.
17. ვ. გ. ვაგონოვი — სამხრეთის ნავსადგურის პარტკომის მდივანი.
18. ა. ა. ვერცაიზერი — ტექნიკური განყოფილების ხიმკინსკის ნაწილის უფროსი.
19. გ. ს. ვოლკოვი — ტექნიკური განყოფილების ნაწილის უფროსის მოადგილე.
20. ი. ე. ვორონინი — ხარკოვის ქარხნის უფროსი ინჟინერი.
21. ა. ვ. ვენგეროვსკი — ავტოსატრაქტორო განყოფილების უფროსი.
22. ნ. ლ. გალპეროვიჩი — საღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილების უფროსის მოადგილე.
23. მ. მ. გავრილინი — რაიონ „ტემპის“ პარტკომის მდივანი.
24. ნ. ა. გრინი — № 101 აგრეგატის უფროსის თანაშემწე.
25. ვ. ა. გრაციანსკი — № 7 რაბის სამუშაოთა უფროსის მწარმოებელი.
26. ე. მ. გენკინი — გაზეთ „მოსკვა-ვოლგსტროის“ რედაქტორი.
27. ი. მ. გროდკი — № 185 წყალსაქაჩი სადგურის მონტაჟის სამუშაოთა მწარმოებელი.
28. ს. ი. გოროხოვი — კოვროვსკის საექსკავატორო ქარხნის მექვაბე.
29. ს. ა. გლეზერი — ჰიდრომექანიზაციის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
30. მ. ა. გრუშინი — კაზიცკის სახელობის ქარხნის მემონტაჟე.
31. ტ. ი. დანილევსკაია — წყალსადენის რაიონის სანნაწილის უფროსი.
32. ვ. მ. დემინი — საარქიტექტურო-საამშენებლო განყოფილების მეფარდახტე.
33. ა. გ. დერგაჩევი — დმიტროვსკის მილიციის განყოფილების უფროსი — მილიციის უმცროსი ლეიტენანტი.
34. ქ. ი. დუგანეცი — მცველი რაზმის მსროლელი.
35. უ. ზ. დროჟერუკი — სატრანსფორმატორო ქარხნის შემკრებელი.
36. გ. ა. დუბრავა — მოსკოვის ტექნიკური განყოფილების უფროსი.
37. გ. დ. ევსტაფიევი — მშენებლობის სატელეფონო სადგურის უფროსი.
38. ი. გ. ელეცკი — № 1 რაბის ნაგებობის უფროსის მოადგილე.
39. გ. ნ. ჟილიაევი — საექსკავატორო სამუშაოთა უფროსი მექანიკოსი.
40. პ. ქ. ჟუჩილინი — მშენებლობის თანამშრომელი.
41. პ. ს. ზადოროჟკო — ექსკავატორის მემანქანე.
42. პ. ვ. ზაიცევი — № 185 წყალსაქაჩი სადგურის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
43. მ. ა. ზოლოტუხინი — მშენებლობის მშენკომის თავმჯდომარის მოადგილე.
44. ი. ო. ზამისი — ბანაკთა მთავარსამმართველოს მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილე.
45. ქ. ა. ზადოროჟნი — ნოვო-კრამატორსკის ქარხნის მთავარი ინჟინერი.
46. გ. რ. ზვონარევი — უფროსი ბუხჰალტერი.
47. მ. მ. ზლობინი — მცველი რაზმის მსროლელი.
48. ბ. ა. იზრაელიანი — რაიონ „ტემპის“ უფროსის მოადგილე.
49. ლ. ი. ინჟირი — მშენებლობის მთავარი ბუხჰალტერი.
50. დ. ფ. კუსტოვი — ვოლგის რაიონის რაიმშენკომის თავმჯდომარე.
51. ვ. ვ. კირეევი — ხიდების განყოფილების უფროსის მოადგილე.
52. პ. ნ. კორაბლინოვი — ტექნიკური განყოფილების უფროსის თანაშემწე.
53. ფ. მ. კისინი — კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე.
54. ს. ა. კერზონი — მომარაგების განყოფილების რწმუნებული.
55. ბ. მ. კაგნერი — საფინანსო-საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილე
56. პ. პ. კუტლერი — საფინანსო საგეგმო განყოფილების უფროსის თანაშემწე.
57. ე. გ. კოლპე — საარქიტექტორო სახელოსნოს არქიტექტორის თანაშემწე.
58. ს. ე. კორკინი — ზავიდოვსკის რაიონის უბნის უფროსი.
59. მ. ვ. კორჩმინი — ხე-ტყის ქარხნის მექანიკოსი.
60. მ. პ. კოჩეტკოვი — კოვროვსკის საექსკავატორო ქარხნის ფოლადმსხმელი საამქროს ოსტატი.
61. ი. ვ. კისელიოვი — მექანიზაციის განყოფილების უფროსის თანაშემწე.
62. ს. პ. კისლიაკოვი — მცველი რაზმის მსროლელი.
63. ა. პ. კაშპორი — დაცვის ოცეულის მეთაურის თანაშემწე.
64. გ. ი. კალმანოვიჩი — სამხრეთის რაიონის სანგანყოფილების უფროსი.
65. ვ. ვ. კალაშნიკოვი — სამხრეთის რაიონის საარქიტექტურო საამშენებლო განყოფილების უფროსი.
66. ს. ა. კუზნეცოვი — იქშინსკის რაიონის სახანძრო დაცვის უფროსი.
67. ი. ი. კორპუსენკო — იქშინსკის რაიონის ნაგებობის უფროსი.
68. დ. პ. კონდრატიევი — № 285 არხის ნაგებობის უფროსი.
69. ნ. ს. კრუგლოვი — მილიციის სერჟანტი.
70. ი. პ. ლოკშარევი — მოსკოვის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე.
71. ნ. ი. ლოგარკოვი — ტექნიკური განყოფილების სხოდნენსკის ნაწილის უფროსი.
72. ი. ა. ლიპსკი — საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილების უფროსი.
73. ბ. მ. ლეონსონი — ხლებნიკოვსკის რაიონის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.
74. ს. ი. ლუზოჩკინი — სატრანსფორმატორო ქარხნის ზეინკალი.
75. მ. ს. მუზიკანტსკი — ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსი.
76. დ. მ. მიხაილოვი — ელექტრომონტაჟის სამუშაოთა მწარმოებელი.
77. ვ. ს. მარგოლინი — საფინანსო-საგეგმო განყოფილების მთავარი ბუხჰალტრის მოადგილე.
78. ვ. ნ. მასლოვი — მშენებლობის გეოტექნიკური განყოფილების უფროსი.
79. მ. პ. მურაშევი — ექსკავატორის მემანქანე.
80. მ. დ. მიტიანოვი — გრანიტის მთლელი.
81. ბ. ს. მელნიკოვი — სამხრეთის რაიონის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.
82. ი. დ. მუსიენკო — საბეტონო სამუშაოთა მწარმოებელი.
83. ს. ტ. მიტროფანოვი — მილიციის ტალდომსკის განყოფილების უფროსი. მილიციის სერჟანტი.
84. ა. ე. ნიკოლაევი — მცველი რაზმის მსროლელი.
85. ი. ვ. ნაზაროვი — ცენტრალური რაიონის რაიმშენკომის თავმჯდომარე.
86. ვ. ი. ნასედკინი — ტოპოგრაფიულ გამოკვლევათა სამუშაოების უფროსი მწარმოებელი.
87. ა. ს. ნიკიტუშკინი — მაგნეტოსატრანსფორმატორო ქარხნის ამკრები.
88. ა. ა. პოპოვა — ცოლების საბჭოს წევრი.
89. ო. მ. პლატონოვა — ცოლების საბჭოს წევრი.
90. ნ. ა. პოლიაკოვი — ტოპოგრაფიული პარტიის უფროსი.
91. მ. მ. პოზდნოვი — ჟურნალ „მოსკვა-ვოლგსტროის“ რედაქტორი.
92. ფ. ი. პოლტორაცკი — გზატკეცილების მუშათა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე.
93. ნ. პ. პაშკოვი — რაიონ „ტემპის“ საექსკავატორო - სატრანსპორტო განყოფილების ტექნიკოსი.
94. ს. ვ. პიკოველი — მშენებლობის ტექნიკური განყოფილების ნაწილის უფროსი.
95. ე. მ. პუშკარიოვი — კაზიცკის სახ. ქარხნის ამკრები.
96. ე. დ. რუბინჩიკი — მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილე
97. ბ. ა. რუბლევი — № 413 ხიდის ინჟინერი.
98. ვ. ი. რუაძე — კიროვის სახ. ქარხნის „ელექტროსილის“ ოსტატი.
99. გ. ი. სიდორენკო — № 184 წყალსაქაჩი სადგურის მიწის სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი.
100. ფ. ე. სიმონენკო — მცველი რაზმის მსროლელი
101. მ. ლ. სოროკინი — ცენტრალური რაიონის სანგანყოფილების უფროსი.
102. ს. გ. სოლდატოვი — ვოლგის რაიონის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.
103. პ. ა. სოლომახინი — ვოლგის რაიონის სამონტაჟო სამუშაოთა უფროსის მოადგილე.
104. ი. ა. საბელკისი — ლენინგრადის სტალინის სახ. მეტალურგიული ქარხნის მონტიორი.
105. ა. ლ. სულინი — ინსპექციის უფროსი.
106. ა. მ. სუშჩევსკაია — არქიტექტორის თანაშემწე ხლებნიკოვსკის რაიონში.
107. მ. ე. სპასკი — სხოდნენსკის რაიონის სანგანყოფილების უფროსი.
108. ი. პ. სტოროჟენკო — მცველი რაზმის მსროლელი.
109. გ. ა. სერჩევსკი — სამოქალაქო მშენებლობის განყოფილების ინჟინერი.
110. ლ. ვ. ტილესი — ვოლგის ჰიდროელსადგურის საექსკავატორო სამუშაოთა უფროსი.
111. ო. ი. ტოლსკაია — გიუბნერი — რაიონის უფროსის თანაშემწე.
112. ე. ს. ტელეპუხოვსკი — მონტაჟის სამუშაოთა მწარმოებელი.
113. დ. ქ. ტრიფონოვი — ლენინგრადის სტალინის სახ. მეტალურგიული ქარხნის საზეინკლო საამკრებო უბნის უფროსი ოსტატი.
114. ა. ა. უგინჩუსი — ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამოცდებისა და გამოკვლევის განყოფილების უფროსი.
115. ვ. ა. უდალოვი — მილიციის სერჟანტი.
116. ი. მ. ფედოროვი — დმიტროვსკის ბანაკის სამმართველოს პარტკომის მდივანი.
117. ი. ნ. ფირსოვი — სამხრეთის რაიონის მშენკომის თავმჯდომარე.
118. დ. ი. ფილიპოვი — ავტოკოლონის უფროსი.
119. ზ. ხაირუტდინოვი — მცველი რაზმის მსროლელი.
120. გ. ა. ჩერნილოვი — მშენებლობის საპროექტო განყოფილების უფროსი.
121. ი. ე. შეფლინგერი — ავტოსატრაქტორო განყოფილების უფროსის მოადგილე.
122. ს. ა. შაბაკ-სპასკი — დმიტროვსკის ბანაკის სანგანყოფილების უფროსის თანაშემწე.
123. ა. ა. შკარენკოვი — მთავარი მექანიკოსის თანაშემწე.
124. ა. ი. შევკოპლიასი — ელექტრომონტაჟის სამუშაოთა მწარმოებელი.
125. გ. ი. შჩუკინი — ცვლის ექსკავატორის მემანქანე.
126. ა. ა. შჩეკინი — ცენტრალური რაიონის პარტკომის მდივანი.
127. ი. ა. იულიში — მშენებლობის ტექნიკური განყოფილების ინჟინერი.
128. ი. ი. ენჯიოგლი — მონტაჟის ოსტატი.
129. ი. ი. იაკუშინი — ინჟინერი ტექნიკური მეცადინეობისათვის.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის 14 ივლისი.

„მარჩფილდის“ აეროდრომზე

„მარჩფილდის“ აეროდრომი. (ქალაქი რივერსაიდი), 15 ივლისი (საკ. დეპეშათა სააგენტოს სპეცკორი).

2 საათსა და 45 წუთზე გრინვიჩის დროით ამერიკის რადიომაუწყებელმა კომპანიამ „ნეიშენელ ბროდკე სტინგ კომპანი“ მოაწყო გადაცემა ოფიცერთა კლუბიდან „მარჩფილდის“ აეროდრომზე. სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა მფრინავები, რომლებსაც უსმენდნენ მილიონობით ადამიანები შეერთებულ შტატებში.

რადიომაუწყებელი კომპანიის დიქტორმა გადაცემა დაიწყო მისალმებით მფრინავების მიმართ, რომლებმაც მოახდინეს სარეკორდო ძირსდაუშვებელი გადაფრენა სიშორეზე. „მთელ ღამეს,—აღნიშნა დიქტორმა,—ჩვენ მოუთმენლად ველოდით სახელოვან მფრინავებს მაშინ, როცა ისინი ნისლს ზევით დაფრინავდნენ და ბოლოს დაეშვნენ, თითქმის მიაღწიეს რა მექსიკის საზღვარს“.

მფრინავები ლაპარაკობდნენ რუსულად. ინგლისურ ენაზე სთარგმნიდა სსრ კავშირის გენერალური კონსულის (სან-ფრანცისკოში) თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ამხ. გოხმანი. ამხ. გრომოვმა „ანტ-25“-ის ეკიპაჟის სახელით მიესალმა ამერიკელ ხალხს და გადასცა საუკეთესო სურვილები სსრ კავშირის ხალხთა სახელით. ამხ. გრომოვმა მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მფრინავებს „ანტ-25“-ის ეკიპაჟის გულთბილად მიღებისათვის „მარჩფილდში“, და გამოსთქვა რწმენა, რომ გადაფრენა განამტკიცებს ურთიერთობას შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

შემდეგ გამოვიდა ახალგაზრდა ამერიკელი ფერმერი უოლტერ ხარვეი, რომელიც პირველი მიესალმა მფრინავებს ძირსდაშვების შემდეგ.

„მე პირველმა დავინახე მფრინავები დილით, დაახლოვებით 5 საათსა და 30 წუთზე (კალიფორნიის დროით), — განაცხადა ხარვეიმ. — მე ძალიან განვცვიფრდი, როცა დავინახე ბუმბერაზი წითელფრთოსანი თვითმფრინავი, რომელიც სან-ჯასინტოს ველზე მიფრინავდა. დაუყოვნებლივ გავიქეცი იმ ადგილისაკენ, სადაც თვითმფრინავი დაეშვა, და ვიყავი პირველი, ვინც მიესალმა მფრინავებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა ისინი თვითმფრინავიდან გამოვიდნენ“.

შემდეგ ხარვეიმ აღნიშნა, რომ მან ტელეფონით აცნობა „მარჩფილდის“ აეროდრომის უფროსს, რომელიც შემდეგ მოვიდა და იკისრა თვითმფრინავზე ზრუნვა.

რადიომაუწყებელმა კომპანიამ სცადა რადიოთი გადაეცა საუბარი ამხ. ჩკალოვთან, ბაიდუკოვთან და ბელიაკოვთან გემ „ნორმანდიიდან“, მაგრამ გადაცემას ხელი შეუშალა მეტეოროლოგიურმა პირობებმა ატლანტიის ოკეანეში.

უპასუხა რა შეკითხვებზე, ამხ. გრომოვმა აცნობა გადაფრენის ზოგიერთი დეტალები. მისი სიტყვით, ამინდის ყველაზე არახელსაყრელი პირობები იყო რუდოლფის კუნძულსა და ჩრდილოეთის პოლუსს შუა, აგრეთვე კლდოვანი მთების რაიონში.

დიქტორმა თვითმფრინავი „ანტ-25“ შემდეგნაირად აღწერა: „უზარმაზარი წითელფრთოსანი ხომალდი ვერცხლის ფერი კორპუსით, ძალიან ლამაზი, დგას მინდორზე, გარშემორტყმული მრავალი ათასი ადამიანით“.

დასასრულ „მარჩფილდის“ სამხედრო აეროდრომის უფროსმა გენერალ ემონსმა განაცხადა: „ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სახელით მე მივესალმები საბჭოთა პოლარელ მფრინავებს შეერთებულ შტატებში და ჩვენს საჰაერო ბაზაზე „მარჩფილდზე“ კალიფორნიაში და მივულოცავ მეტად ძნელი და მნიშვნელოვანი დავალების წარმატებით შესრულებას. მათმა ოსტატობამ, სიმტკიცემ და გამბედაობამ მთელი მსოფლიოს მფრინავთა აღტაცება დაიმსახურა“. ამხ. გრომოვმა მადლობა გადაუხადა ემონსს და სხვა ოფიცრებს სტუმართმოყვარეობისათვის.

საუზმე ამხ. მ. მ. ლიტვინოვთან თურქი სტუმრების პატივსაცემად

მოსკოვი, 15 ივლისი (საქდესი). 14 ივლისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა მოსკოვში ჩამოსულ თურქეთის მინისტრების ბ. თევფიქ რუშტი არასის და შუქრი კაიას პატივსაცემად გამართა საუზმე. საუზმეს დაესწრნენ თურქეთის დიდი ნაციონალური კრების დეპუტატები ბ. რახმი აპაკი და დოქტორი შუქრუ შენოზანი, რომლებიც მინისტრებთან ერთად ჩამოვიდნენ, თურქეთის რესპუბლიკის ელჩი ბ. ზექიაი აპაიდინი, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ა. ი. ეგოროვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. პ. პოტიომკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვი, რუსეთის სფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ა. ს. ბუბნოვი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. ი. მეჟლაუკი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ამხ. მ. ა. კარსკი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ო. ი. ოსიპოვი, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, რომლებიც თან ახლავან მინისტრებს, თურქეთის საელჩოს მოხელეები და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საუზმის დროს ამხ. ლიტვინოვმა და ბ. არასმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის სიტყვა

საბჭოთა მთავრობა ჩემის სახით და პირადად მე ჭეშმარიტი სიხარულით მივესალმებით აქ მეგობრული თურქეთის მთავრობის ორ გამოჩენილ წარმომადგენელს — საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. არასს, რომელიც წინათაც ყოფილა ჩვენს კავშირში, და შინაგან საქმეთა მინისტრს და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალურ მდივანს ბ. შუქრუ კაიას, რომელიც პირველად ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე თურქეთის დიდი ნაციონალური კრების პატივცემულ წარმომადგენლებს ბ. შუქრუ შენოზანს და რახმი აპაკის.

ჩვენ მით უფრო მეტად ვაფასებთ ამ დარბაზობას, რომ იგი არ არის გამოწვეული რაიმე უშუალო საქმიანი მოსაზრებითა და მიზნებით.

ამ დარბაზობაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდდამხოლოდ საბჭოთა კავშირისადმი თურქეთის ინტერესისა და მეგობრობის მანიფესტაციას და ილუსტრაციას თურქეთის მინისტრთა საბჭოს პატივცემული თავმჯდომარის ბ. ისმეტ ინენიუს მიერ პარლამენტში ამასწინათ გაკეთებული განცხადებისა, რომ „თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა იარსებებს, როგორც ორივე ქვეყნის პოლიტიკის მტკიცე ელემენტი".

საერთაშორისო ურთიერთობანი იცნობენ სხვადასხვა სახის მეგობრობას. ომამდე ორი ან სამი სახელმწიფო, რომელნიც ერთმანეთისათვის უცხონი ან ანტაგონისტურიც კი იყვნენ, მაგრამ რომლებმაც საჭიროდ დაინახეს განსაზღვრულ მომენტში დაედოთ ერთმანეთშორის კავშირი საერთო აგრესიული, იმპერიალისტური მიზნების მისაღწევად, დასახული ნადავლის გასაყოფად, ლაპარაკობდნენ ერთმანეთს შორის მეგობრობაზე. ომის შემდგომი დრო იცნობს სხვა შემთხვევებს. მაგალითად, ორი სახელმწიფო, რომლებიც ერთმანეთს ცუდად დაფარული უნდობლობით ეპყრობიან და რომლებიც ისახავენ ერთმანეთის საწინააღმდეგო საგარეო - პოლიტიკურ საბოლოო მიზნებს, ერთბაშად უთანხმდებიან ერთმანეთს კი არ ილაპარაკონ, არამედ აუცილებლად იყვირონ ერთმანეთს შორის მეგობრობაზე იმ იმედით, რომ დააშინონ ვინმე ამ მოჩვენებითი მეგობრობით. მაგრამ ეს მეგობრობა — საფრთხობელა, აშინებს მხოლოდ ბრიყვ პოლიტიკურ ყორნებს. ასეც ხდება: ერთი სახელმწიფო ემუქრება მეორეს, მის ტერიტორიულ ხელუხლებლობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მიუთითებს რა, ვთქვათ, რევიზიონიზმის „წმიდათა-წმიდა" პრინციპზე, რაიმე ისტორიულ უფლებებზე, ხოლო ზოგჯერ რასობრივ ნათესაობაზედაც კი. იძულებულია რა, თავის არასაკმაო სამხედრო მომზადების ან არახელსაყრელი საერთაშორისო კონიუნქტურის გამო, რამდენიმე ხნით გადასდოს ეს მუქარა, იგი წინადადებას აძლევს მეორე სახელმწიფოს ამავე დროისათვის ითვლებოდნენ მეგობრებად.

ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არის, რომ ეს მეორე სახელმწიფო მიმართავს ამ აშკარა ტყუილს, ჩინებულად ესმის რა, რომ იგი სახელმწიფოს, რომელიც იმუქრება, შესაძლებლობას აძლევს განმტკიცდეს და უკეთ მოამზადოს მის მიერ განზრახული აგრესია „მეგობრის" წინააღმდეგ. შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მეგობრობა იკვრება ძალის მხრივ ორ მეტად არათანასწორ პარტნიორს შორის, როდესაც უფრო სუსტს მათ შორის აიძულებენ „მფარველის" მეგობრობის სანაცვლოდ ნაწილობრივ ხელი აიღოს მის სასარგებლოდ თავის დამოუკიდებლობაზე. ამგვარ ურთიერთობას სახელმწიფოთა შორის მეგობრობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფრიად პირობითი აზრით შეიძლება ეწოდოს.

განა საჭიროა ხაზი გავუსვა, რომ ჩემ მიერ ჩამოთვლილ ამგვარ მეგობრობასთან ოდნავი მსგავსებაც კი არა აქვს იმ ურთიერთობას, რომელიც აი უკვე 16 წელია არსებობს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, და რომ მას სულ სხვა ფესვები, სხვა მიზნები აქვს? ოქტომბრის დიდ რევოლუციას, რომელსაც ქვა-ქვაზე არ დაუტოვებია ყოფილი მეფის იმპერიის როგორც საშინაო წყობაში, ისე მის საგარეო პოლიტიკაში, არ შეეძლო არ გამოეწვია მის ხალხებში რეაქცია მეფის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც იგი თურქი ხალხის მიმართ აწარმოებდა. მე ვფიქრობ, რომ თურქ ხალხსაც შეექმნა ანალოგიური რეაქცია მის მიერ მოსპობილ სულთანთა რეჟიმის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ. ძველი საძულველი რეჟიმების თითქმის იმავდროულმა დამხობამ ორივე სახელმწიფოში, და კიდევ ჩემ მიერ აღნიშნულმა ურთიერთმა რეაქციამ წინანდელი საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, შექმნეს წანამძღვრები ამ სახელმწიფოთა ხალხებს შორის ურთიერთობის ძირფესვიანი შეცვლისათვის მეგობრობის მიმართულებით. დადგა გმირული ხანა, როდესაც საბჭოთა და თურქ ხალხებს უხდებოდათ თვითეულს თავის ტერიტორიაზე იარაღით ხელში დაეცვათ უფლება თავისი არსებობისა და მათ მიერ დამყარებული ახალი რეჟიმის დამოუკიდებელი განვითარებისა თითქმის ერთდაიმავე იმპერიალისტების წინააღმდეგ, და ურთიერთმა სიმპატიებმა, რომლებიც წარმოშვეს ამ იმავდროულმა ბრძოლამ და მისმა ძლევამოსილად დამთავრებამ საბოლოოდ ჩამოაყალიბეს ახალი ურთიერთობა საბჭოთა და თურქ ხალხებს შორის გულწრფელი მეგობრობის საძირკველზე, რამაც ღრმად გაიდგა ფესვები ფართო მასების შეგნებაში. ამ მეგობრობის მნიშვნელობა განუწყვეტლივ იჩენდა თავს შემდგომ წლებში, როცა საბჭოთა სახელმწიფომ და თურქეთის ახალმა რესპუბლიკამ მოიპოვეს თავისთვის ჯეროვანი ადგილები საერთაშორისო ასპარეზზე. იგი ხელშესახებად იგრძნობოდა როგორც ლოზანის 1932 წლის კონფერენციაზე, ისე მონტრეს კონფერენციაზე, აგრეთვე ერთა ლიგაში ორივე სახელმწიფოს შესვლის დროს.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის წყალობით, შეიქმნა მყარი და დამშვიდებული მდგომარეობა ისეთ მნიშვნელოვან უბანში, როგორიცაა შავი ზღვის ბასეინი, და იმ ოლქებში, სადაც ჩვენი სახელმწიფოები მდებარეობენ. ამრიგად საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობა გახდა უდიდეს ფაქტორად საყოველთაო მშვიდობიანობის სისტემაში. დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობიანობის მეგობრებს ესმით და აფასებენ საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის ამ მნიშვნელობას და რომ მის წინააღმდეგ ხელყოფა მხოლოდ იმ თითო-ოროლა სახელმწიფოებს შეუძლიათ, რომელთა საგარეო პოლიტიკის პროგრამა შეუთავსებელია საერთაშორისო ურთიერთობაში სიმშვიდის, სიმყარის, ნდობის, პატივისცემის, უშიშროებისა და განუწყვეტელი მშვიდობიანობის კონცეპციებთან. ეს სახელმწიფოები ასეთ ხელყოფას მიმართავდნენ და მიმართავენ, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის პოლიტიკის ყველაზე უფრო ავტორიტეტიანმა ხელმძღვანელებმა მათ არაორაზროვნად აგრძნობინეს, რომ ეს ხელყოფანი წინასწარ განწირულია სრული დამარცხებისათვის. ჩემის მხრივ მეც, საბჭოთა მთავრობის სახელით, შემიძლია გავაფრთხილო ისინი, რომ ძირგამომთხრელ მუშაობას, რომელსაც ეს სახელმწიფონი ეწევიან ევროპაში შექმნილი მშვიდობისმოყვარე დაჯგუფებათა და მშვიდობიანობის სხვა დასაყრდენთა წინააღმდეგ, არ გააჩნიათ ისეთი ძალა, რომ აათეთქონ საბჭოთა კავშირ-თურქეთის შეურყეველი მეგობრობა.

მოხარული ვარ, აღვნიშნო თურქეთის მონაწილეობა საბჭოთა მთავრობის ყველა წამოწყებაში საყოველთაო მშვიდობიანობის განსამტკიცებლად კოლექტიური უშიშროებისა და მშვიდობიანობის განუყოფლობის ბაზაზე. ამასთან საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობას აქვს ის თავისებურება, რომ იგი თვითეულ პარტნიორს უტოვებს სრულ დამოუკიდებლობას მესამე სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებაში, მისი ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად. მაგრამ, რამდენადაც ამ მეგობრობის დუღაბს წარმოადგენს საერთო აქტიური მისწრაფება საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ, იგულისხმება, რომ ორივე პარტნიორი თავს აარიდებს ყოველივე იმას, რასაც შეუძლია ზურგი გაუმაგროს დამანგრეველ აგრესიულ ძალებს ან განამტკიცოს ისინი, ან ზიანი მიაყენოს მშვიდობიანობის პოტენციალის თუნდაც ერთ ელემენტთაგანს, და, რომ ისინი ყოველთვის იხელმძღვანელებენ პრინციპით, რომ მათი მეგობრების მტრები, მშვიდობიანობის მტრები არ შეიძლება იყვნენ მათი ნამდვილი მეგობრები. მაგრამ, თუ ერთერთი პარტნიორის ესათუის ნაბიჯი დაარღვევს ამ პრინციპს, მეორე პარტნიორი მას მეგობრულად მიუთითებს ამაზე ისე, რომ ამით მეგობრობამ არ იზარალოს.

ვაძლევთ რა შეფასებას საბჭოთა კავშირ-თურქეთის პოლიტიკურ ურთიერთობას, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მისი კეთილმყოფელი გავლენა სამეურნეო ურთიერთობის განვითარებაზე, აგრეთვე კულტურულ კავშირურთიერთობაზე, რომელიც განუწყვეტლივ ფართოვდება.

ჩვენი თურქი მეგობრების ჩამოსვლა აქ, უეჭველია, ახალ ბიძგს მისცემს ყველა ამ ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ერთხელ კიდევ დაადასტურებს მთელი მსოფლიოს წინაშე საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის უცვლელობას, გაგვახსენებს იმ პრინციპებს, რომლებზეც ეს მეგობრობა დაფუძნებულია, და ამით სამსახურს გაუწევს მშვიდობიანობის საქმეს.

მე ვიღებ სასმისს მეგობარი თურქი ხალხის აყვავებისა და ძლიერების ზრდისათვის, ახალი თურქეთის რესპუბლიკის დიდი დამაარსებლისა და მეთაურის ბ-ნ ატათურქის, მისი გამოჩენილი თანამებრძოლის, ჩვენი კავშირის მეგობრის ბ-ნ ისმეთ ინენიუს და ჩვენი ძვირფასი მეგობრებისა და სტუმრების ბ-ნ არასისა და შუქრუ კაიას დღეგრძელობისათვის.

თევფიკ რუშთუ არასის სიტყვა

ბ-ნო სახალხო კომისარო. მე პირველ რიგში მსურს ჩემი სახელითა და ჩემი კოლეგისა და მეგობრის შინაგან საქმეთა მინისტრისა და სახალხო რესპუბლიკური პარტიის გენერალური მდივნის ბ-ნ შუქრუ კაიას სახელით, ისევე როგორც თურქეთის მთელი დელეგაციის სახელით, მათ შორის დელეგაციაში შემავალ პარლამენტის წევრთა სახელით, — გამოგიცხადოთ უცხოველესი მადლობა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისა და გულითადი მიღებისათვის, რაც ჩვენი დიდი მეზობლისა და მეგობრის ხელისუფალთ გამოიჩინეს, სტუმართმოყვარეობისათვის, რაშიაც უნდა ითქვას, პირადად მე უკვე მქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავ.

ჩვენ ჩამოვედით აქ, როგორც თქვენ ინებეთ სწორად აღგენიშნათ, მხოლოდდამხოლოდ იმ ინტერესისა და ღრმა მეგობრობის ნიშნად, რომელსაც ქემალისტური თურქეთი გრძნობს საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამით ჩვენ ვუპასუხებთ იმ გულწრფელი მეგობრობის გრძნობებს, რომლებსაც თქვენი დიდი ქვეყანა ყოველთვის იჩენდა ჩვენს მიმართ.

ჭეშმარიტად, თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა დარჩება ჩვენი ქვეყნების პოლიტიკის მუდმივ ფაქტორად. ეს მეგობრობა, მტკიცე და ურყევი, შობილი იმ გმირული ბრძოლის პერიოდში, რომელსაც ჩვენი ხალხები ეწეოდნენ თავიანთი უფლებებისათვის ეარსებნათ და დამოუკიდებლად განვითარებულიყვნენ, ამ 16 წლის განმავლობაში წლითიწლობით მტკიცდებოდა და ღრმად დამკვიდრდა როგორც მასების შეგნებაში, ისე თვითეული ჩვენი ქვეყნის პარტიის შეხედულებებში.

თქვენ მართალი იყავით, როდესაც თქვენს გამოსვლებში აღნიშნავდით, რომ ჩვენი მეგობრობა შეიძლება იყოს მაგალითი, მსგავსად იმისა, როგორც ჩვენი ურთიერთობანი მე განვსაზღვრე, როგორც განსაკუთრებული ხასიათის მქონენი.

მთელი მსოფლიოსათვის მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც საუკუნეთა განმავლობაში სწარმოებდა უაზრო ბრძოლა ორი ჩვენი წინანდელი რეჟიმისა, მეფეთა და სულთანთა რეჟიმებისა, რომელნიც დამხობილ იქნენ და დაეცნენ იმავდროულად თავიანთი მანკიერი საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად,—ორივე ჩვენი ხალხი როგორც კი მათ თავიანთ ხელთ აიღეს საკუთარი ბედი, დადმობილდა და დაამყარა გულწრფელი და სამარადისო მეგობრობა ერთმანეთს შორის როგორც თავიანთი საკუთარი, ისე საერთაშორისო ინტერესებისათვის.

ჩვენს ურთიერთობას განსაკუთრებული ხასიათი აქვს იმ აზრით, რომ ორივე ჩვენი ქვეყანა თავის ბრძოლაში საერთაშორისო ასპარეზზე მათთვის შესაფერისი ადგილის მოსაპოვებლად ყოველთვის ერთად იყო, და ეს სასარგებლო იყო ორივე მხარისათვის; ამავე დროს ოდნავადაც არ ზღუდავდა რა მათს სრულ დამოუკიდებლობას ურთიერთობის დამყარებაში მესამე სახელმწიფოებთან და ერთგვარი აქტივობის გამოჩენაში მათი ინდივიდუალური ინტერესებისა და მათი განსაკუთრებული მდგომარეობის შესაბამისად.

თქვენ სწორად მოიხსენიეთ ურთიერთი სიმპატიები, რომლებსაც ჩვენ მძიმე დღეებში ვუცხადებდით ერთმანეთს და რომელთა მოგონება, მე ამაში დარწმუნებული ვარ, აღბეჭდილი დარჩება ჩვენი ხალხების ხსოვნაში.

ამასთან დაკავშირებით ჩემთვის სასიამოვნოა გავიხსენო სიტყვები, წარმოთქმული დიდი ეროვნული კრების გახსნისას ამა წელს, სიტყვები, რომელთაც მით უფრო მაღალი მნიშვნელობა ენიჭებათ, რომ ისინი გამომდინარეობდნენ ჩემი დიდი ხელმძღვანელის ატათურქისაგან.

განა საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ განცხადებათა მნიშვნელობასა და სიცხადეს, რომლითაც უკანასკნელად გამოვიდა ჩვენი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჩვენი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობათა გამო!

ჩემთვის სასიამოვნოა აგრეთვე ხაზი გავუსვა იმ ქმედითს მონაწილეობას, რომელიც მიიღო საბჭოთა კავშირმა ჩვენს ინდუსტრიალიზაციაში, თქვენი დიდი ბელადის სტალინის პირადი ინიციატივით, რამაც ხორცი შეისხა ისეთ გრანდიოზულ ძეგლებში, როგორიცაა კაისარისა და ნაზილის კომბინატები.

ჩვენი ურთიერთვალდებულებანი, რომელნიც ყველანი მთლიანად გამოქვეყნებულია, არ შეიცავენ არც სამხედრო შეთანხმებებს, არც რაიმე განსაკუთრებულ ვალდებულებებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ჩვენ არ ვრჩებოდით და არ დავრჩებით გულგრილნი თვითეული ჩვენგანის ბედისადმი. განა ამ პირობებში მე უფლება არ მქონდა მეწოდებინა ჩვენი მეგობრობისათვის „განსაკუთრებული ურთიერთობა".

სავსებით სწორია, რომ მხურვალე მისწრაფება განმტკიცებულ იქნას საყოველთაო მშვიდობიანობა—შეადგენს ორივე ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის დამახასიათებელ ნიშანს.

სწორედ ამ მიზნით ვმუშაობდით ჩვენ ჯერ მოსამზადებელ კომისიაში, ხოლო შემდეგ თვით განიარაღების კონფერენციაზეც, თუმცა ამ მუშაობის შედეგები ჯერ კიდევ არ სჩანს. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა განვაახლო აქ მოგონებანი ორივე ქვეყნის ბედნიერი თანამშრომლობისა ლოზანასა და მონტრეში, სადაც ჩვენ პირადად თქვენთან ერთად ვიყავით. ჩვენ ერთსადაიმავე დროს ხელი მოვაწერეთ ბრიან-კელოგის პაქტს და ამასთანავე დაკავშირებით იმ ოქმს, რომელიც თქვენს სახელს ატარებს. სწორედ ასევე ჩვენ ერთად ვშრომობდით, რათა მოგვეცა აგრესორის განსაზღვრა და ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა კვლავ გამოვთქვა ჩემი აღტაცება იმ ბედნიერი და მოხერხებული გადაწყვეტილებით, რომელიც თქვენ შემოგვთავაზეთ აგრესიის ცნების განსაზღვრის გარშემო დაუსრულებელ დავათა მომენტში.

უკვე სამი წელია, რაც ჩვენ იმავე გულწრფელობით ვთანამშრომლობთ ერთა ლიგაში მშვიდობიანობის საერთო იდეალის ინტერესებისათვის.

თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა წარმოადგენს მუდმივ და ძვირფას ელემენტს არა მარტო ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, არამედ საერთოდ ყველა სფეროშიც, რომლებშიაც მდებარეობენ ჩვენი ქვეყნები, და განსაკუთრებით შავი ზღვის ბასეინში. ამგვარად, ჩვენი მეგობრობა დიდი ფაქტორი განუყოფელი მშვიდობიანობისა და კოლექტიური უშიშროების სისტემაში. მე აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობიანობის მეგობრები შეაფასებენ ჩვენი მეგობრობის ასეთ მნიშვნელობას. ჩვენ გვსურს ჩვენი ხალხების კეთილდღეობა, — ეს არის ჩვენი უფლება, ეს ჩვენი მოვალეობაც კი არის. მაგრამ ეს კეთილდღეობა ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვანაირად, თუ არა ბედნიერ ხალხთა წრეში.

მშვიდობიანობა ჩვენთვისა და ყველასათვის, არავითარ აგრესორს არ შეუძლია ელოდეს ჩვენი მხრიდან რაიმე დახმარებასა და მხარდაჭერას—ასეთია ჩვენი მთლიანი პოლიტიკური კონცეპცია.

ჩვენ გვწამს, ბატონო სახალხო კომისარო, რომ ჩვენი დარბაზობა ახალ ბიძგს მისცემს ჩვენს ურთიერთობას პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში და ხელს შეუწყობს შემდგომ კავშირურთიერთობას კულტურის დარგში. ჩვენი დარბაზობა მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყოფს სიმტკიცეს ჩვენი მეგობრობისას, რომელსაც ვერაფერი შეარყევს და რომელიც მუდამ ემსახურება მშვიდობიანობის საქმეს.

სწორედ ამ აზრით ვიღებ მე სასმისს და ვსვამ მეგობრულ საბჭოთა კავშირის ხალხთა კეთილდღეობის, მის ძლიერების ზრდის სადღეგრძელოს, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პატივცემული თავმჯდომარის ბ-ნ კალინინის, სახალხო კომისართა საბჭოს გამოჩენილი თავმჯდომარის ბ-ნ მოლოტოვის სადღეგრძელოს, ისევე როგორც თქვენს სადღეგრძელოს, ბატონო სახალხო კომისარო. და განსაკუთრებით მინდა წარმოვსთქვა ტოსტი და ჯანმრთელობა ვუსურვო თქვენს დიდ ბელადს სტალინს!

თურქეთის მინისტრები მოსკოვში

მოსკოვი, 15 ივლისი (საქდესი). 14 ივლისს 11 საათსა და 30 წუთზე თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი შუქრუ კაია თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატის ბ-ნი რახმი აპაკის თანხლებით ეწვია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ი. ი. ხარჩენკოს.

17 საათსა და 30 წუთზე ბ. ბ. თევფიკ რუშთუ არასმა და შუქრუ კაიამ, მინისტრების თანმხლებმა პირებმა და თურქეთის ელჩმა ბ-ნმა ზექიაი აპაიდინმა ინახულეს ვ. ი. ლენინის მავზოლეი და გვირგვინით შეამკეს იგი.

შემდეგ ბ-ნი შუქრუ კაია, თურქეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატები ბ. ბ. რახმი აპაკი და შუქრუ შენოზანი და სხვები იყვნენ „დინამოს" სტადიონზე, სადაც გაიმართა გრანდიოზული სასპორტო-სატანვარჯიშო დღესასწაული.

დ. ზავრიევი

საბჭოთა კავშირი და თურქეთი

საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობა, რომელიც იმ წლებში იშვა, როდესაც ორივე ქვეყანა, თვითეული თავის ტერიტორიაზე, ულმობელ ომს აწარმოებდა თავისი დამოუკიდებლობისათვის იმპერიალისტ ინტერვენტების წინააღმდეგ, — ამ უკანასკნელ დროს აღინიშნა ახალი ძვირფასი და მკაფიო განცხადებებით. ა.-წ. 16 ივნისს თურქეთის პრემიერი ისმეტ ინენიუ თურქეთის პარლამენტის სესიის დახურვაზე გამოვიდა საგარეო - პოლიტიკური დეკლარაციით და შემდეგი სიტყვებით შეეხო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობას:

„სსრ კავშირთან დამოკიდებულებას მეგობრული, გულწრფელი ხასიათი აქვს. ეს მეგობრობა უკანასკნელ დროს უფრო მეტი გულითადობითაც კი განიმსჭვალა. ისინი, ვინც ფიქრობდა და გულისხმობდა, რომ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა, პირიქით, უკანასკნელ დროს გულცივობით ხასიათდებოდა, შესაძლოა, გააკვირვოს ამ დეკლარაციამ — ესოდენ ზუსტმა და ნათელმა. თურქეთ-საბჭოთა მეგობრობა იარსებებს, როგორც მტკიცე ელემენტი ორივე ქვეყნის პოლიტიკაში".

საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის უცვლელობის მეორე ძვირფას და მკაფიო საბუთს წარმოადგენს ის, რომ ჩვენს დედა-ქალაქში მოდიან თურქეთის მინისტრები. საგარეო საქმეთა — თევფიკ რუშტი არასი და შინაგან საქმეთა (იგივე თურქეთის მმართველი სახალხო პარტიის გენერალური მდივანი)—შუქრი კაია. ამ ვიზიტმა გამოიწვია განსაკუთრებით მეგობრული გამოხმაურება თურქეთის საზოგადოებრივ წრეებში, რომელთა წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ სსრ კავშირისადმი მეგობრული გრძნობების უცვლელობას, მიუხედავად გართულებებისა საერთაშორისო ვითარებაში. თურქეთის მინისტრების მეგობრული ვიზიტი მოსკოვში უაღრესად გულითად გამოხმაურებას ჰპოვებს ჩვენი კავშირის ხალხებშიაც, რომლებიც უდიდესი სიმპატიითა და მეგობრობის გრძნობით ადევნებენ თვალყურს თურქი ხალხის ბრძოლას მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. გულწრფელი სიმპატიები და მეგობრობის გრძნობები კონიუნქტურული და შემთხვევითი ხასიათის შედეგს, როდი წარმოადგენენ, არამედ გამომდინარეობენ ლენინურ-სტალინური პოლიტიკის თვით საფუძვლებიდან და თვით საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებიდან.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის ისტორია აღნიშნულია უდიდესი მნიშვნელობის ფაქტებით. როდესაც იმპერიალისტ ინტერვენტთა საუცხოოდ შეიარაღებული ურდოები ჩაგვრისა და უუფლებობის წინააღმდეგ აჯანყებული თურქი ხალხის ტერიტორიას უტევდნენ, საბჭოთა კავშირმა ქემალ ათათურქის მთავრობასთან დასდო მოსკოვის 1921 წლის ხელშეკრულება, რომელმაც გააადვილა თურქეთის ნაციონალური ჯარების ბრძოლა ინტერვენტებთან. როდესაც მდინარე სეკარიაზე გამარჯვების შემდეგ თურქეთის დელეგატები ჩავიდნენ ლოზანაში თავისი მონაპოვარის დასაცავად, მათ ჰპოვეს უაღრესად აქტიური მხარდაჭერა სსრ კავშირის დელეგაციის მხრით. როდესაც იმპერიალისტებმა, თურქეთის უფლებათა შელახვის მიზნით, გაამწვავეს მოსულის ნავთის კუთვნილების საკითხი, საბჭოთა კავშირმა თურქეთთან დასდო პარიზის პაქტი ნეიტრალიტეტისა და ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ. თურქეთის შემდგომ წარმატებებს, როგორც ეკონომიური მშენებლობის, ისე საერთაშორისო პოლიტიკის დარგში, როგორც თურქეთის გაზეთი „სონ პოსტა" სწერს, — „თავის გამოსავალ წერტილად ჰქონდა პირველი და ყველაზე ძველი მეგობრობა სსრ კავშირთან".

რათა გავიგოთ თურქეთის რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის ჭეშმარიტი მნიშვნელობა, აგრეთვე აგრესორი ქვეყნების ცდები — მოსწყვიტონ თურქეთი საბჭოთა კავშირთან მეგობრობას და ჩაითრიონ იგი „ბერლინ-რომის" სისხლიანი ღერძის ორბიტაში, — აუცილებელია გავეცნოთ იმ წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკამ ეკონომიურ მშენებლობის და პოლიტიკის დარგში, რომელიც აგებულია კოლექტიური უშიშროებისა და მშვიდობიანობის განუყოფლობის პრინციპებზე. თურქეთის სახალხო პარტიამ, რომელიც სათავეში ჩაუდგა თურქი ხალხის ნაციონალურ - განმანთავისუფლებელ მოძრაობას, სულთნის ხელისუფლებისაგან ფრიად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო: ხალხის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობა და აღვირახსნილი იმპერიალისტთა კოლონია. ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო იყო მნიშვნელოვანი კაპიტალები. თურქეთის ბურჟუაზიამ თავისი ყურადღება მიაპყრო ვაჭრობის დარგს, რომელიც მოგების ყველაზე მეტ ნორმებს აძლევდა. უცხოეთის კაპიტალი არ მიდიოდა თურქეთში, ვინაიდან ვეღარ პოულობდა იქ იმ კაპიტულაციურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რომლებსაც იგი წინათ უყენებდა თურქეთს და რომლებსაც სულთნის მთავრობა აკმაყოფილებდა. თურქეთის მთავრობა დაადგა „ეტატიზმის", ე. ი. ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გზას.

იმპერიალისტთა პოზიციების შესუსტების მიზნით, თურქეთის მთავრობა შეუდგა საკონცესიო რკინიგზების გამოსყიდვას და შედარებით მოკლე ვადაში გამოისყიდა 3 ათას კილომეტრზე მეტი. ამასთან ერთად თურქეთის მთავრობა შეუდგა ახალი რკინიგზების მშენებლობას და გაიყვანა დაახლოვებით 2.500 კილომეტრი (ე. ი. წელიწადში დაახლოებით 200 კილომეტრი, მაშინ, როდესაც სულთნის თურქეთი უცხოეთის კაპიტალის დახმარებით წელიწადში საშუალოდ 65 კილომეტრს აგებდა).

თურქეთის მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამრეწველო მშენებლობის საკითხებს. არ აჯერებდა რა პროტექციონისტულ ღონისძიებებს, თურქეთი შეუდგა სამრეწველო საწარმოთა მშენებლობას სახელმწიფო ხარჯზე. აშენებულ იქნა შაქრის ახალი ქარხნები ალპოლუში, უშაკში, ტურხალში და ესკიშეხირში, აგებულ იქნა მთელი რიგი საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის და სხვ. საწარმოები. მაგრამ თურქეთის ნაციონალური მრეწველობის განვითარება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1932 წლის შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც თურქეთის მთავრობის მეთაურმა ისმეტ ინენიუმ ინახულა საბჭოთა კავშირი, სადაც თურქეთის პრემიერი გაეცნო ჩვენი პირველი ხუთწლედის ბრწყინვალე მიღწევებს. ამ გაცნობის გავლენით თურქეთში ისმეტ ინენიუს უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა თურქეთის მრეწველობის განვითარების ეგრეთწოდებული ხუთწლიანი გეგმა. ამ გეგმის შესაბამისად თურქეთში ამუშავდა თანამედროვე ტექნიკის მიხედვით მოწყობილი მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები, მაგალითად ქაღალდ-მუყაოს ფაბრიკა იზმიდში, მინის ქარხანა ფაშაბაღჩეში, ვარდის ზეთის ფაბრიკა ისპარტში, ხელოვნური აბრეშუმის ფაბრიკა გემლიკში, შალეულის ფაბრიკა ბრუსაში და სხვ. 1937 წელს კარაბუკში საფუძველი ჩაეყარა მეტალურგიულ კომბინატს, რომლის სიმძლავრეც იქნება 180 ათასი ტონა ლითონის პროდუქცია წელიწადში.

სამრეწველო მშენებლობის ამ გეგმის განხორციელების საქმეში, რომელიც მიმართულია თურქეთის განთავისუფლებისაკენ იმპერიალისტური დამოკიდებულებისაგან და ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისაკენ, თურქეთის მთავრობა შეხვდა უაქტიურეს დახმარებას საბჭოთა ქვეყნის მხრივ. ამ მიზნით უკანასკნელმა მისცა თურქეთს უპროცენტო გრძელვადიანი კრედიტი 20 წლით 8 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობით. ამ კრედიტის ანგარიშში საბჭოთა კავშირმა უკვე ააგო თურქეთში კაისერის განთქმული საფეიქრო კომბინატი და ამჟამად აშენებს კომბინატს ნაზილში. საბჭოთა კავშირი ეხმარება თურქეთს სხვა სამრეწველო ერთეულთა მშენებლობაშიც მოწყობილობის და საწარმოო მნიშვნელობის სხვა საგნების მიწოდებით.

არ შეიძლება არ შევეხოთ სსრ კავშირის მონაწილეობას თურქეთის საგარეო ვაჭრობაში. ამ მონაწილეობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებისათვის, რომლებიც გზების ნაკლებობის გამო ხვდებიან ერთგვარ დაბრკოლებას თავიანთ სავაჭრო კავშირში მსოფლიოს ბაზრებთან.

სსრ კავშირში თურქეთის აღმოსავლეთის პროვინციებიდან შემოდის პირუტყვი, მატყლისა და ბამბის მნიშვნელოვანი რაოდენობა და სსრ კავშირთან თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებში მიდის უპირველესი საჭიროების საგნები. თურქეთის აღმოსავლეთ და დასავლეთ პროვინციების შორის სატრანსპორტო კავშირის გასაადვილებლად სსრ კავშირმა მიანიჭა თურქეთს უფლება ტრანზიტისა ბათუმით.

თურქეთის ეკონომიური განვითარება და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცება, რა თქმა უნდა, არ შეეფერება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებს. მათ უნდათ სუსტი თურქეთი, რომ გადააქციონ იგი თავიანთ კოლონიად. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ძლიერ აგრესიას აღმოსავლეთში იჩენენ სამხედრო- ფაშისტური ქვეყნები, კერძოდ გერმანია, რომელიც სცდილობს თურქეთის ეკონომიკა თავის სამხედრო მეურნეობას დაუმორჩილოს.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სამხედრო - ფაშისტურ ქვეყნებს სურთ მოაქციონ თურქეთი „ბერლინ-რომის" ღერძის ორბიტში, ე. ი. ჩაითრიონ იგი სახიფათო ავანტურათა ცალაპოტში. ამ გეგმის შესრულებას ფაშისტები უკავშირებენ საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის გაუარესებას. ამ აზრით უნდა გავიგოთ ის სულელური ხმები და ინტრიგები, რომლის ქსელსაც გარკვეულ წრეებში აბამენ საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის გარშემო, რომელიც დამყარებულია მშვიდობიანობის პოლიტიკაზე ერთა ლიგის ჩარჩოებში და კოლექტიური უშიშროებისა და მშვიდობიანობის განუყოფელობის საფუძველზე. ეს პრინციპები არ შეეფერება ომის გამჩაღებლების ინტერესებს. მეტისმეტად გართულებული საერთაშორისო ვითარების ფონზე, ესპანეთში იტალია-გერმანიის თავხედური და ცინიკური ინტერვენციის ფონზე საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ისმეტ ინენიუს გამოსვლა საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობის ურყეობის შესახებ და თურქეთის მინისტრების ჩამოსვლა მოსკოვში გაფრთხილებაა ამ აგრესიული ძალებისათვის, რომელნიც თავიანთ იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ თურქეთი მოსწყვიტონ საბჭოთა კავშირთან მეგობრობას, რათა ამით გაიხსნან ხელფეხი აღმოსავლეთში თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვების განსახორციელებლად.

◆

ესპანეთის ფრონტებზე

ცენტრალური ფრონტი

მიუხედავად იმისა, რომ მეამბოხეებმა მადრიდის სექტორში დიდ მაშველ ჯარებს მოუყარეს თავი, რესპუბლიკელთა ნაწილები წარმატებით მიიწევენ წინ. როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რესპუბლიკელთა ჯარები, რომელნიც ბრუნეტის სამხრეთით იმყოფებიან, კვლავ ავიწროვებენ მეამბოხეებს ნავალკარნეროს მიმართულებით. ამჟამად რესპუბლიკელთა ჯარები ნავალკარნეროდან იმყოფებიან ზარბაზნის გასროლის მანძილზე.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რომელიც 13 ივლისს ღამით გამოქვეყნდა, რესპუბლიკელთა ნაწილებმა შემუსრეს მტრის ფრონტი კორუნის გზის მე-17 კილომეტრთან. მეამბოხეებმა დიდი ზარალი მოუვიდათ.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობის თანახმად, რომელიც 13 ივლისს ღამით გამოქვეყნდა, 12 და 13 ივლისის განმავლობაში მადრიდის ფრონტზე ჩამოაგდეს მეამბოხეთა 25 თვითმფრინავი. ამავე ორი დღის განმავლობაში მეამბოხეებმა ჩამოაგდეს მთავრობის მხოლოდ 5 თვითმფრინავი. ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, 13 ივლისს მადრიდის თავზე მოხდა საჰაერო ბრძოლა. მთავრობის 6 ავიაგამანადგურებელმა უკუაქცია მეამბოხეთა ნარევი ესკადრილია, რომელიც ყუმბარმტყორცნებისა და ავიაგამანადგურებლებისაგან შესდგებოდა. ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ფრანკოს მფრინავთა მორალური მდგომარეობა უფროდაუფრო ირყევა.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი იუწყება, რომ 12 ივლისს ესკორიალის გზაზე მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს მეამბოხეებმა დაჰკარგეს „ფიატის" ტიპის 8 თვითმფრინავი და „ჰაინკელის" ტიპის ერთი თვითმფრინავი. ვილა ვისიოსის მახლობლად მთავრობის ერთმა თვითმფრინავმა გაუმართა ბრძოლა მეამბოხეთა სამ თვითმფრინავს და ჩამოაგდო ორი მათგანი. ბრძოლის შედეგად თვითონაც ჩამოგდებულ იქნა. მთავრობის თვითმფრინავებმა 13 ივლისს ყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა აეროდრომებს ავილასა და ელ ესპინარესში.

ჩრდილოეთის ფრონტი

როიტერის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელთა ჯარებმა 13 ივლისს ჩრდილოეთის ფრონტზე დიდი აქტივობა გამოიჩინეს. განსაკუთრებით გამოირჩევა მთავრობის ავიაციის საქმიანობა. 13 ივლისს რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლებმა ორჯერ განდევნეს მეამბოხეთა ყუმბარმტყორცნები. მთავრობის თვითმფრინავებმა ტყვიამფრქვევები დაუშინეს იტალიის ჯარებს სამოროსტრო - ვალმასედის ფრონტის მთელი ხაზის გასწვრივ. ამავე დროს მთავრობის ყუმბარმტყორცნებმა მოსპეს მეამბოხეთა სიმაგრენი სან ჰულიან დე მუსკესში და კასტრო ურდიალესის მახლობლად.

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რომელიც გამოქვეყნდა 14 ივლისს ღამით, რესპუბლიკელთა არტილერიამ გაჰფანტა მეამბოხეთა მრავალრიცხოვანი თავმოყრილი ნაწილები ბისკაის სექტორის კასტრო ალენის რაიონში.

ტარნის რაიონში მთავრობის ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში მატაზე (ლეონის ჩრდილოეთით).

შეთქმულება გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ

ლონდონი, 14 ივლისი (საქდესი). „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტის ცნობით, მეამბოხე გენერალთა წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სევილიაში დახვრიტეს 25 ოფიცერი და დააპატიმრეს 45.

შეთქმულება გამოაჩინეს გასულ კვირას, როდესაც გერმანიის საიდუმლო პოლიციამ, რომელიც თავს დაესხა ერთერთ სახლს, ხელთ იგდო დოკუმენტები ფართოდ განშტოებული კონსპირატიული ორგანიზაციის შესახებ.

შეთქმულების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ მოეკლათ გენერალი ფრანკო, კეიპო დე ლიანო და სხვ., აგრეთვე მოეკლათ შტაბის გერმანელი და იტალიელი ოფიცრები. ამის შემდეგ მათ განზრახული ჰქონდათ მოეწყოთ საყოველთაო აჯანყება გერმანელთა და იტალიელთა წინააღმდეგ.

◆

თავდაცვის განმტკიცების სესხი

ბორჯომი, 15 ივლისი (ჩვენი საკ. კორ.) რაიონში წარმატებით მიმდინარეობს თავდაცვის განმტკიცების სესხზე ხელმოწერა.

15 ივლისისათვის გავრცელებული იყო 915.225 მანეთის სესხის ობლიგაცია.

ბ. ლომიძე

○

ზუგდიდი, 15 ივლისი (ჩვენი საკ. კორ.) 13 ივლისის დღის 2 საათისათვის ზუგდიდის რაიონის მშრომელებს თავდაცვის განმტკიცების სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 750.000 მანეთის რაოდენობით.

ქალაქის მშრომელებმა ხელი მოაწერეს 215.000 მანეთის სესხზე, სოფლის მშრომელებმა—235.000 მანეთის სესხზე.

ბ. გრიგოლია

ეროვნული ბიბლიოთეკა



„როსტევანის შეხვედრა ტარიელთან“, მხატვარ თ. აბაკელიას ილუსტრაცია „ვეფხის ტყაოსნის“ რუსული თარგმანისათვის, რომელიც შესრულებულია გ. ცაგარელის მიერ. -ფოტორეპროდუქცია რ. აკოფოვისა

მსოფლიოს დიდი საბჭოთა ატლასი

ლენინგრადი (საკ. კორ.) ოქტომბრის დიდი რევოლუციის 20 წლისთავისათვის გამოვა „მსოფლიოს დიდი საბჭოთა ატლასის“ პირველი ტომი.

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ატლასის შედგენის მთავარმა კონსულტანტმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ი. შაკალსკიმ განაცხადა:

— მსოფლიოს საბჭოთა გეოგრაფიული ატლასის შედგენის იდეა წამოაყენა ლენინმა ჯერ კიდევ 1920-21 წელს. მსოფლიოს ატლასის შედგენა დიდი, სერიოზული და პასუხსაგები საქმეა. მისი გამოცემაც — არა ნაკლებ საპასუხისმგებლო საქმეა.

მსოფლიოს თვითეულ ატლასს თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, როგორც მეცნიერული, ისე ტექნიკა-კარტოგრაფიულის მხრივ. მსოფლიო ატლასებს დასავლეთ ევროპაში პირველად როდი უშვებენ. თვითეული ახალი ატლასის გამოცემას იქ აადვილებს წინა ატლასის არსებობა.

არაფერი ამგვარი მსოფლიოს საბჭოთა ატლასის გამოცემის დროს ჩვენ არ გვქონია. ყველაფერი თავიდან უნდა შეგვექმნა. ატლასის შინაარსის გეგმის შედგენამ უდიდესი შრომა მოითხოვა.

მსოფლიოს დიდი საბჭოთა ატლასის მრავალი რუკა თავისი შინაარსით ჰგავს ასეთსავე საზღვარგარეთულ რუკებს, მაგრამ თავისი მეცნიერული დამუშავების მხრივ ისინი სრულიად დამოუკიდებელი არიან.

მსოფლიო ხასიათის რუკებს შორის ატლასში არის სრულიად ახალი რუკები, რომლებიც პირველად იბეჭდება. საბჭოთა კავშირის რუკებიდან ზოგი სრულიად ახლად არის შედგენილი, ზოგიც ძირფესვიანად გადამუშავებულია.

ამჟამად გამოსაცემად მზადდება მსოფლიოს დიდი საბჭოთა ატლასის პირველი ტომი. მასში იქნება ორი განყოფილება: 1) მსოფლიო რუკები და 2) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის რუკები.

„მსოფლიო რუკების“ განყოფილება შესდგება 75 ფურცლისაგან, რომლებზედაც მოცემულია სხვადასხვა სახის 87 რუკა: ფიზიკო-გეოგრაფიული, სტატისტიკურ-ეკონომიური და პოლიტიკური. ყველა ეს რუკა სრულიად ახალია, ისინი შედგენილია თანამედროვე მასალების საფუძველზე საბჭოთა კავშირის მეცნიერების, უმეტესად ლენინგრადელი მუშაკების მიერ.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ განყოფილება შეიცავს 91 რუკას: ფიზიკურ-გეოგრაფიულს, გეოლოგიურს, გეომორფოლოგიურს, მეტეოროლოგიურს, ნიადაგისას, ბოტანიკურს, დემოგრაფიულს, ეკონომიურს. შედარებისათვის მოყვანილია ომის წინადროინდელი რუსეთის ადმინისტრატიული და ეკონომიური რუკა და ტერიტორიული გაფართოების რუკა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკას ექნება სამიმოსვლო და ეკონომიური რუკები მასშტაბით 1:1.500.000. ტენიანი სუბტროპიკების რაიონის რუკა დაწვრილებით გვიჩვენებს სუბტროპიკული კულტურების — ჩაის პლანტაციების, ციტრუსოვანთა ნარგავების, გერანის, თამბაქოს და სხვა ძვირფას კულტურათა განაწილებას.

ერთი გვერდი ექნება დათმობილი ამიერკავკასიის ენერგეტიულ რესურსებს უკვე გამოყენებულ სიმდიდრეთა აღნიშვნით.

მეორე ტომში მოთავსებული იქნება აგრეთვე კავკასიის ერთა რუკა.

მსოფლიოს დიდი საბჭოთა ატლასი, რომელიც იბეჭდება საუცხოო ქაღალდზე მშვენიერი ყდით, გამოშვებული იქნება 10.000 ათასი ცალის ტირაჟით და ეღირება 300 მანეთი სამივე ტომი.

რა კაცია კიზირია?

(ქუთაისი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გასული წლის ნოემბერში საქქარხმშენის ქუთაისის კანტორის მმართველად დაინიშნა ვარლამ კიზირია. მას საკმაო საბაბი ჰქონდა სერიოზულად შეემოწმებინა შტატი, ვინაიდან ყოფილ მმართველს, ტროცკისტ ბრეგვაძეს ბევრ ადგილას თავისიანები ჰყავდა მოწყობილი.

კიზირია მეორე უკიდურესობაში გადავარდა: თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა მოხსნა სამუშაოდან და სამაგიეროდ „თავისი კაცები“, თავისი ყოფილი თანამშრომლები მოიყვანა.

ბუხჰალტერიაში ძველი მუშაკებიდან ერთი-ღა დარჩა, კიზირიამ იქ მუშმშენის მუშაკები დასვა. მოხსნილთა შორის სამი კომკავშირელია. საერთოდ, კიზირია პირველ რიგში კომუნისტებსა და კომკავშირელებს იშორებს თავიდან. ახლა ბუხჰალტერიაში ერთი ქართველია მხოლოდ და საქმეს რუსულ ენაზე აწარმოებენ.

კიზირიამ კომკავშირის კომიტეტის მდივანი, პარტკანდიდატი ამხ. გ. მაღლაკელიძე, რომელიც მთავარი საწყობის გამგე იყო, გადაიყვანა სპეცგანყოფილებაში, შტატით გაუთვალისწინებელ და ფაქტიურად არ არსებულ თანამდებობაზე, ხოლო მის ადგილზე მოიყვანა ვ. ასათიანი, რომელმაც მაშინვე ხელი მიჰყო მავნებლობას. ჰყიდდა კერძო პირებზე სამშენებლო მასალას (რკინას, ზეთს და სხვ.), ქურდობდა, ლოთობდა, რის გამო საწყობი თვეში ათ დღეს მაინც დაკეტილი იყო.

პარტიული ორგანიზაციის ჩარევით ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ, ამ ბრალდებების გამო ასათიანი მოიხსნა და მაღლაკელიძე ისევ დააბრუნეს თავის ადგილზე.

საყურადღებოა, რომ კიზირია პარტორგანიზაციაში ხმას ავრცელებდა, ჩემ მიერ მოყვანილი მთავარი ბუხჰალტერი კასპაროვი და ასათიანი საგანგებო ორგანოებიდან არიან გამოგზავნილი სპეციალური დავალებებითო.

კიზირიამ, თითქოს შტატის შემცირების გამო, გაანთავისუფლა ინჟინრები რუხაძე და მაჭავარიანი, ამავე დროს, ინჟინრის თანამდებობაზე დანიშნა მასთან მუშმშენში ნამუშევარი ტექნიკოსები კეკელია და ბალანი (700—700 მანეთი ხელფასით).

კიზირიამ მომარაგების განყოფილების ისედაც გაბერილ შტატში ზედმეტად დანიშნა მომმარაგებლის თანამდებობაზე, „თავისი კაცი“ ი. კალანდაძე, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს შტატის შემცირების გამო, გაანთავისუფლა ძველი მუშაკი ა. ხაზარაძე, რომლის შესახებ ამჟამად კიზირია „განმარტავს“: ხაზარაძე კომბინატორი და ჟულიკი იყოო. ამის დამამტკიცებელი საბუთი არსად მოიპოვება, ხოლო მის მიერ ხაზარაძის ადგილზე მოყვანილი ი. კალანდაძე რომ ქურდი და კომბინატორია, ეს ყველასათვის აშკარაა. მაგალითად, კალანდაძეს სხვადასხვა დროს საწყობში გაუფორმებლად მიტანილი აქვს თითქოს კერძოდ ნაყიდი 29,7 ტონა ცემენტი და ფული ხელზე აქვს მიღებული. მსგავს კომბინაციებს კალანდაძე იშვიათად როდი აკეთებს და ფულს ათასობით იჯიბავს.

კიზირია და კალანდაძე იმდენად ახლო მეგობრულ ურთიერთობაში არიან, რომ ადვილი შესაძლებელია „ხელი ხელს ბანდეს და ორივე პირს“. ეს მით უფრო საფიქრებულია, რომ კიზირია მას დღესაც, ამ კომბინაციის გამომჟღავნების შემდეგაც დაჟინებით იცავს.

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი. კიზირიამ გასული წლის დეკემბერში დაცვის უფროსის თანამდებობიდან მოხსნა დემობილიზებული მეთაური გ. დავლაძე და მის მაგივრად დანიშნა ნებიერიძე. მხოლოდ საქმეში სათანადო ორგანოების ჩარევის შემდეგ დააბრუნა დავლაძე, მაგრამ არა თავის ადგილზე, არამედ სხვაგან. რამდენიმე ხნის შემდეგ დავლაძე ხელმეორედ მოხსნა „შტატის შემცირების გამო“. სასამართლოს დადგენილების საფუძველზე დავლაძე აღადგინეს და მან ორნახევარი თვის განაცდურიც მიიღო, მაგრამ ეს თანხა რატომღაც წარმოებას გადახდა და არა კიზირიას.

ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ერთი გარემოების აღნიშვნით: ზამთარში როგორც საერთო საცხოვრებლებში, ისე კანტორაშიც შეშის მაგივრად იხარჯებოდა დაწუნებული საშენი მასალა, რასაც საკმაო რაოდენობით „გაჰყვა“ საღი მასალაც. კიზირიას ამის წინააღმდეგ ზომები არ მიუღია.

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, თუ რა ხასიათი აქვს კიზირიას მოქმედებას. ვფიქრობთ, სათანადო ორგანოები გააკეთებენ აქედან შესაფერ დასკვნას.

ივ. გვასალია

◇

ტრამვაის ახალი მარშრუტები

ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა ძნელაძის ქუჩაზე უახლოეს ხანში დამთავრდება. ამ ხაზის გაყვანის შემდეგ ტრამვაის დირექციას გადაწყვეტილი აქვს შესცვალოს ტრამვაის მოძრაობის ზოგი მარშრუტი.

პირველი და მეორე მარშრუტის ტრამვაის ვაგონები ივლიან იმავე მიმართულებით, როგორც ამჟამად, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ფედერაციის მოედნიდან ისინი აღარ გაივლიან რუსთაველის პროსპექტს, არამედ ივლიან ძნელაძის ქუჩით.

გადაწყვეტილია შემოიღონ ახალი მარშრუტი. ამ მარშრუტის ვაგონები ივლიან სადგურიდან ჩელუსკინელთა, ლენინის, ძნელაძის, მუხრანის ქუჩებზე და კალიაევის ხიდიდან 19 თებერვლის და კალინინის ქუჩების გავლით დაბრუნდება ვაგზალთან.

მე-9 მარშრუტის ვაგონები ივლიან სადგურიდან ნავთლუღამდე კარლ მარქსის ხიდის გავლით. მე-5 მარშრუტის ვაგონები კი ივლიან იმავე მიმართულებით, როგორც ახლა, მაგრამ ძნელაძის ქუჩის გავლით.

◇

ვემზადებით რუსთაველის იუბილესათვის

დიდი ქართველი მგოსნის შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის იუბილესათვის მზადებას საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. გასული წლის აგვისტოში პარტრაიკომის ბიურომ გამოჰყო შოთა რუსთაველის საიუბილეო რაიონული კომიტეტი. ჩატარებულია რამდენიმე მოხსენება შოთა რუსთაველის შემოქმედებაზე. საიუბილეო დღეების მოახლოვებასთან დაკავშირებით მუშაობა გაათკეცებული ენერგიით გაიშლება.

რაიონული გაზეთი—„კოლმეურნე“ სისტემატურად ათავსებს წერილებს შ. რუსთაველის შემოქმედების მნიშვნელობაზე, ადგილებს უკვდავი „ვეფხის-ტყაოსნიდან“ და სხვ.

უახლოეს დღეებში მოეწყობა თათბირი რაიონში მცხოვრებ ხალხური მთქმელების, პოეტების, დამწყები მწერლებისა და მხატვრებისა. თათბირზე დამუშავდება იუბილესათვის მზადების საკითხები: როგორ შევაგროვოთ თქმულებები და სიმღერები შოთას შესახებ, რა დავწეროთ რუსთაველზე, როგორ მოვაწყოთ „ვეფხის-ტყაოსნის“ კითხვა კოლმეურნეებთან, მუშებთან და სხვ.

საიუბილეო რაიონულ კომიტეტს განზრახული აქვს იუბილესთან დაკავშირებით ქ. სიღნაღში მოაწყოს შ. რუსთაველის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ალ. გვენცაძე.

როსტოვის მეცნიერთა ნაშრომები

დონის-როსტოვი, 15 ივლისი (საქდესი). როსტოვი ჩვენი ქვეყნის ერთერთი მსხვილი სამეცნიერო ცენტრია. უკანასკნელი წლის განმავლობაში როსტოვის სწავლულებმა საბჭოთა მედიცინას მისცეს მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომები.

ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინსტიტუტის თანამშრომლის დოცენტ შეფერის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა რენტგენის სხივების გავლენას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, დამუშავებული თემების სისრულით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. ბაქტერიოფაგის (ბაქტერიების შთანმთქმელის) გამოსაყენებლად ძვირფას მუშაობას ეწევიან მიკრო-ბიოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები. ამ მუშაობას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მუცლის ტიფისა და დიზენტერიის მკურნალობის პროფილაქტიკისათვის. თავის ნაშრომში ექიმმა სომოვმა დამუშავა ამ ავადმყოფობათა მკურნალობის ახალი მეთოდები.

განსაკუთრებულ ყურადღებას ღირსია სისხლის გადასხმის ინსტიტუტის თანამშრომლის ექიმ ანგელეისის ნაშრომი, რომელმაც დაამტკიცა, რომ შეიძლება მალარიით დაავადებულთა სისხლის გამოყენება გადასასხმელად.

პროფესორ მ. ა. ბოგორაზის ხელმძღვანელობით ქირურგიული კლინიკის მეცნიერმა მუშაკმა ექიმმა კარტაშევმა დაამთავრა დიდი მეცნიერული ნაშრომი „კუჭის სარკომა“.

მშობიარობის გაუმტკივნეულების პრობლემასთან დაკავშირებულ დიდ მუშაობას ეწევა აზოვ-შავი ზღვის მხარის დედობისა და ბავშვთა დაცვის ინსტიტუტი. გაუმტკივნეულების მეთოდს, რომელიც ინსტიტუტმა შეამოწმა, ფართოდ იყენებენ მხარის სარაიონო და სასოფლო საავადმყოფოებში.

ქალაქი ცხაკაია მესამე ხუთწლედში

ცხაკაია, 15 ივლისი (საქდესი). მესამე ხუთწლედში გათვალისწინებულია დაახლოებით 11 მილიონი მანეთის დაბანდება ქალაქ ცხაკაიას კომუნალურ მეურნეობაში.

ქალაქში განზრახული აქვთ ააგონ წყალსადენი, რომლის სათავე იქნება ფოთი-ნოსირის წყლის მაგისტრალში. წყალსადენის მშენებლობაზე დაიხარჯება მილიონ მანეთზე მეტი. განზრახული აქვთ აგრეთვე კანალიზაციის გაყვანა.

ქალაქში აშენდება 100-ოთახიანი ახალი სასტუმრო. მისი აშენება დაჯდება 700.000 მანეთი.

ქალ. ცხაკაიას მთავარი ქუჩები მე-3 ხუთწლედში ასფალტით შეიმოსება.

ქალაქის ყველა ქუჩა გამწვანდება ევკალიპტებით, წიწვიანი და სხვა დეკორატიული მცენარეებით. ქალაქის მაღლობ ნაწილში 6 ჰექტარის ფართობზე გაშენდება კულტურისა და დასვენების პარკი.

მესამე ხუთწლედში საგრძნობლად განვითარდება ქალაქის ელექტრო მეურნეობა. განზრახულია ახალი ქვესადგურის აშენება და არსებული ელექტროქსელის გაფართოვება. ამ სამუშაოებისათვის გაღებულია ნახევარი მილიონი მანეთი.

ქ. ცხაკაიას კომუნალური მშენებლობის გეგმაში მესამე ხუთწლედისათვის შეტანილია აგრეთვე ისეთი დიდი ღონისძიებანი, როგორიცაა ახალი კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო ბაზრის (რისთვისაც ასიგნებულია 630.000 მანეთი), მექანიზებული სამრეცხაოს, საბინაო მშენებლობა, სამგზავრო და სატვირთო ავტოტრანსპორტის განვითარება და სხვ.

◇

თბილისის უნივერსიტეტის მორიგი გამოშვება

მიმდინარე წლის იანვარში თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოშვებულ 713 კაცის გარდა, ახლა გამოშვებულ იქნა კიდევ 148 სტუდენტი, მათ შორის 35 ფრიადოსანი, რომლებმაც მიიღეს პირველი ხარისხის დიპლომი. სპეციალობის მიხედვით კურსდამთავრებულებს შორის არიან—24 ისტორიკოსი, 37 ქიმიკოსი, 25 ფილოლოგი და 62 ეკონომისტი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტთან გამოსაშვები გამოცდები ჩააბარა საფინანსო სკოლების 30 მსმენელმა. სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა აგრეთვე საქართველოს ფინანსიურ-ეკონომიური ინსტიტუტის 60 დაუსწრებელმა მსმენელმა.

ამ წლის ოქტომბერში გათვალისწინებულია თბილისის უნივერსიტეტის მორიგი გამოშვება ყველა ფაკულტეტის 60 სტუდენტის რაოდენობით.

◇

გამომგონებელთა საზოგადოებაში

საქართველოს გამომგონებელთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს დადგენილებით, ამ დღეებში იწყება გამომგონებელთა ადგილობრივი საბჭოების საანგარიშო კამპანია და ახალი საბჭოების არჩევნები.

თბილისში გამომგონებელთა საზოგადოების საანგარიშო კამპანია და არჩევნები 20 აგვისტოსათვის უნდა დამთავრდეს. გარდა თბილისისა, საანგარიშო კამპანია და არჩევნები ჩატარდება — ქუთაისში, ჭიათურაში, ბორჯომში, ფერო-მარგანეცის ქარხანაში, კასპის ცემენტის ქარხანაში, ზრამჰესში, აგარის შაქრის ქარხანაში, ტყიბულში, საქნავთის სარეწაოებზე, ჩაის ფაბრიკებში, აჭარაში და აფხაზეთში.

გამომგონებელთა რესპუბლიკური ყრილობა შესდგება თბილისში აგვისტოს ბოლო რიცხვებში.



„ნესტან დარეჯანის გატაცება“ მხატვარ თამარ აბაკელიას ილუსტრაცია „ვეფხის ტყაოსნის“ რუსული თარგმანისათვის, რომელიც შესრულებულია გ. ცაგარელის მიერ. ფოტორეპროდუქცია რ. აკოფოვისა

ნეკროლოგი

ექიმი დ. სანიკიძე

ექიმთა რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი ახალგაზრდა ქირურგი დ. სანიკიძე. იგი დაიბადა 1902 წელს, სწავლობდა ქ. ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1922 წელს, შემდეგ შევიდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში და დაამთავრა 1929 წელს. მუშაობდა მედინსტიტუტის ფაკულტეტის ქირურგიულ კლინიკაში, შემდეგ გადავიდა ჭიათურის საავადმყოფოში, საიდანაც იგი მიავლინეს ლენინგრადს პროფ. ჯანელიძესთან და პროფ. პეტროვთან სამუშაოდ. აქ კლინიკური სტაჟი გაიარა 1934-35 წელს და კვლავ დაუბრუნდა ჭიათურას. ექიმმა დ. სანიკიძემ დიდი სიყვარული დაიმსახურა ჭიათურის მუშებსა და რაიონის მოსახლეობაში.

უკანასკნელ ხანებში ექ. სანიკიძე გადაყვანილ იქნა საჩხერეში, სადაც მან მოაწყო ქირურგიული და გინეკოლოგიური განყოფილებები.

ექ. დ. სანიკიძის დაკარგვით ექიმთა საზოგადოებას გამოაკლდა ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელსაც უეჭველად ბრწყინვალე მომავალი ექნებოდა.

პროფ. ა. მაჭავარიანი, პროფ. დ. იოსელიანი, კ. ტყემალაძე, ოთხმეზური, გაჩეჩილაძე, მერებაშვილი, კვირკველია, დ. ცინცაძე, დ. ღვინეფაძე, გ. გოგიბერიძე, ს. ბრეგვაძე, შუკლაშვილი, ს. ხუნდაძე, ან. ქავთარაძე, გ. ელენტ, მ. ჭავჭანიძე, ა. ალაშვილი, ლ. ქვარიანი, დ. მამამთავრიშვილი, შ. თოფურია, ი. ჩხაიძე, ვ. კვერენჩხილაძე.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

16 ივლისი

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ ქალაქსა და სოფელს შორის“ —ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კონსულტანტი —ამხ. დ. თოფურია; კონსულტაცია თემაზე: „იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ლენინიზმი—მარქსიზმი“ — რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „დებულება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ — რუსულ ენაზე, დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კონსულტანტი—ამხ. გურიაჩევი.

○

16 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ამხ. ი. რუხაძე კომკავშირის აქტივისათვის წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „უცხო სახელმწიფოთა და მათი აგენტების ტროცკისტულ-ფაშისტური მზვერავების დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობის მეთოდები“. შესვლა გასაშვები ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გრ. მუშიშვილი

დღეს საკინემატოგრაფო თეატრებში	ოქტომბერი 7, 9, 11	ხმოვანი ფილმი ღამის დამარცხებელნი პროგრამის გარეშე გმირთა შეხვედრა
	დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	საზაფხულო შენობა პარტიზანის ქალიშვილი საზამთრო შენ. ხმოვანი ფილმი ცამეტნი
	კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	საზაფხულო შენ. არსენა ქართულ ენაზე საზამთრო შენ. ხმოვ. ფილმი უკანასკნელი ღამე
	რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მე-4 კვირა ხმოვანი ფილმი არსენა ქართულ ენაზე
	26 კომუნ. სახელობის საზამთ. 6-30, საზაფხ. 9	ხმოვანი ფილმი დნეპრი ცეცხლის ალში
	კომინტერნი 9, 11	ხმოვანი ფილმი ცამეტნი
	არსენა (კიროვის სახ. რაიონი)	ხმოვანი ფილმი ნარინჯის ველი
	ახალი ამბები	გმირთა შეხვედრა ხმოვანი ჟურნალი № 29.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისია იუწყება,

რომ მის საჯარო სხდომებზე მოხდება დისერტაციების დაცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1. 19 სექტემბერს, დღის 12 საათზე, სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის აუდიტორიაში (ლენინის, 50) პრივატ-დოცენტი დავით მიქელაძე „კანის კიბოს რენტგენის და რადიუმის სხივებით თანამედროვე მკურნალობა“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. გ. ლამბარაშვილი და დოც. გ. ნაზარიშვილი.

2. 19 სექტემბერს, იქვე, ასისტენტი ელენე ბეთანელი „ეროზიო პორციო ვაგინალის ჰისტოლოგიური დიაგნოზისათვის“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. გ. ლამბარაშვილი და პროფ. ს. საყვარელიძე.

3. 19 სექტემბერს, იქვე, ასისტენტი ვალერიან კანდელაკი „ნიკოტინის გავლენა ქალის სასქესო ჯირკვლებზე“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. გ. ლამბარაშვილი, პროფ. ი. თიკანაძე, პროფ. ვ. ჟღენტი.

4. 20 სექტემბერს, დღის 12 საათზე დერმო-ვენეროლოგიური ინსტიტუტის აუდიტორიაში (სართანიას, 6) ასისტენტი გრიგოლ ფხალაძე „მამაკაცის შარდსადინარის მწვავე გონორეის ურეტრალური სპრინცოვკის და ჟანეს მეთოდით მკურნალობის შეფასება“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. პ. ბუაჩიძე და პროფ. ე. თოდაძე.

5. 20 სექტემბერს, იქვე, ასისტენტი ვასილ კაციტაძე „პროფესიული დერმატოზები საქართველოს აბრეშუმის ძაფსალებ მრეწველობაში და მათთან ბრძოლის საშუალებანი“. ოფიციალური ოპონენტები პროფ. პ. ბუაჩიძე და დოც. ა. ხმალაძე.

6. 21 სექტემბერს, დღის 12 საათზე, რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიულ აუდიტორიაში ასისტენტი სერგო ჩაჩუნაშვილი „ერითროციტების დალექვის რეაქციის ცვალებადობა ოპერაციის შემდგომ ხანაში“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. კ. ერისთავი და დოც. გ. დიდებულიძე.

7. 21 სექტემბერს, იქვე, ასისტენტი ანდრია ლვამიჩავა „თავის ქალას და მისი შიგთავსის ტრავმული დაზიანების საკითხისათვის“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. კ. ერისთავი და პროფ. ა. მაჭავარიანი.

8. 21 სექტემბერს, იქვე, ასისტენტი ილია დავითაია „მასალები მუცლის ღრუს ოპერაციულ ჭრილობის ასეპტიურ გახსნისა და შიგნეულობის გამოვარდნის საკითხისათვის“. ოფიციალური ოპონენტებია პროფ. კ. ერისთავი და პროფ. დ. იოსელიანი.

მსურველთ შეუძლიათ შრომებს გაეცნონ სამედიცინო ინსტიტუტის შენობაში სწავლულ მდივანთან ყოველდღე 2—5 საათამდე.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის
საკვალიფიკაციო კომისია.

1627

საქართველოს სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „ბალდადის“ დასკვნითი ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის

№ რიგ.	აქტივი მუხლების დასახელება	თანხა მან.	№ რიგ.	პასივი მუხლების დასახელება	თანხა მან.
1	ძირითადი საშუალებანი	50 721	1	ფონდები	61.200
2	ნედლეული და მასალები	89.733	2	სარეგულიაციო ანგ-ბი	13.217
3	წარმოება და გადამუშავება	5.510	3	გრძელვადიანი სესხები	17.513
4	მზა ნაკეთობა	75.085	4	მოკლევადიანი სესხები	92.400
5	გადატვირთული საქონელი	43.311	5	ანგარიშსწორებანი	199.271
6	ფულადი საშუალებანი	103.961	6	დაგროვება მიმდინარე წლისა	95.850
7	ანგარიშსწორებანი	36.216			
8	მომავალი დროის ხარჯები	4.269			
9	განყენებული საშუალებანი	70.645			
	ბალანსი...	479.451		ბალანსი...	479.451

1937 წ. დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1. ზარალი სხვადასხვა	18.264	1. შემოსავალი რეალიზაციიდან	103.733
2. დაგროვება საანგარიშო წლისა	95.850	2. შემოსავალი სხვადასხვა	10.381
ბალანსი...	114.114	ბალანსი...	114.114

დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წ. 29 იანვარს.

გამგეობის თავმჯდომარე ქარსელაძე. მთავ. ბუღჰალტერი ჩხიკვიშვილი. 1608

კლ. გოგიავა

შეძლებული ცხოვრება

არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც სოლომონ გიგაური გომურში ცხოვრობდა. რამდენჯერ უთქვამს სოლომონს: ერთი მზე შემოიხედავდეს ჩემს სახლში და მეტს არაფერს ვჩივიო. მზე ქვეყანას ათბობდა, სოლომონის გომურში კი ვერაფრით ვერ ატანდა. ამიტომ ოთახში ნესტის სუნი იდგა და ბავშვები დაყვითლებული იყვნენ. მარტო ჭამა რას უშველის კაცს, თუ ჰაერი არა აქვს! მაგრამ სოლომონის ოჯახს არც საჭმელი ჰქონდა. მწარე იყო სიღარიბე! გულნაღვლიანი სოლომონი გამოიტანდა ხანდახან ჩონგურს და დაამღერებდა:

ვაჰ, რა ძნელი ყოფილხარ,
სიღარიბევ ტიალო,
მეოთხ-მეხუთე წელია
ერთ ხალიხნი მცვიანო.

რამდენი მწარე სიმღერა უთქვამს სოლომონს წყეულ წარსულში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცხოვრება გამოიცვალა. და ამ ახალ ცხოვრებას სოლომონ გიგაური ახალი სიმღერითა და სიხარულით შეხვდა. ის პირველი შევიდა კოლმეურნეობაში. ეს იყო 1930 წელს. ერთი ხარი ჰყავდა, რომელსაც „მურას“ ეძახდა და ისიც საკოლმეურნეო გუთანში შეაბა. წაღმა დატრიალდა ცხოვრება. საკოლმეურნეო დოვლათმა წელში გამართა სოლომონი.

○

მიდის, მოჰქუხს მთის მდინარე ტორტლა. ტორტლა სოფელ ბერბუკს შუაში სჭრის და რწყავს საკოლმეურნეო მინდვრებს. ტორტლას პირად ახლა დიდი მშენებლობა სწარმოებს. მოუზიდნიათ ქვა, კირი, აგური და აშენებენ სახლებს. გორის რაიონის სოფელ ბერბუკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები შეძლებული და სამური ცხოვრების გზას ადგანან.

სოლომონ გიგაურმა წელს აიშენა ორსართულიანი სახლი. შუშაბანდიანი სახლი ამაყად გადაჰყურებს ტორტლას. იგი განსაკუთრებული გემოვნებითაა აშენებული. ჩვენ საღამო ჟამს ვესტუმრეთ სოლომონს. ის ახალი სახლის ფანჯარასთან იჯდა და გადაჰყურებდა ყანებს. ბავშვები ეზოში თამაშობდნენ.

— კარგი სახლი წამოჭიმა სოლომონმა, — მეუბნება კოლმეურნეობის ორდენოსანი თავმჯდომარე ამხ. კოსტა აბალაკი. მართლაც, სოლომონის სახლს მზე ყოველმხრივ ადგება და ფანჯრის მინებს აბრჭყვიალებს. ქვედა სართულში სამზარეულო და სასადილო ოთახი მოუწყვიათ. ზედა სართულში კი ორი დიდი ოთახია, რომელშიც ისვენებენ. ასე რომ ტყუილად კი არ ეუბნებიან მეზობლები სოლომონს: ნამდვილი „ქარვასლა“ აიშენეო.

— აი ესეც ჩემი ძველი სახლი, — თითით მანიშნებს სოლომონი. რა შედარებაა! ძველი გომური, რომელშიაც სოლომონის ოჯახმა მრავალი წელიწადი გაატარა, წყეული წარსულივით გამოიყურება. ის სულერთიანად გაჰქვარტლულია. კედლებიდან მიწა მოსცვივა. შიგ ნესტის შემზარავი სუნი დგას. ახლა ეს სახლი შეშის საწყობად აქვს სოლომონს. თითქოს დასცინისო, ისე ამაყად დაჰყურებს ახალი სახლი ძველს. მარტო სახლი კი არა, სოლომონის ეზოში ყველაფერი ახალია, ლამაზი და მიმზიდველი.

აგერ ხეხილის ბაღი. ლოყაწითელი ვაშლებით დახუნძლული ხეები. ამ ხეებს შორის აყვავებულ მზესუმზირას გადაუხრია თავი და შეჰყურებს ცას. სახლის უკან ბოსტანია ამწვანებული. ეზოში ტყემლის ჩრდილში მეწველი ძროხა წამოწოლილა და იცოხნის.

— ეს ძროხაც შარშან შეიძინა სოლომონმა, — მეუბნება ამხ. აბალაკი და თან დასძენს: — ასე რომ კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ გაკეთდა სოლომონ გიგაური. — ამ სიტყვებზე სოლომონის ცოლი ნინა დაეთანხმა აბალაკს.

— მაშ, მაშ, გავკეთდით.

სოლომონ გიგაურს ახალი სახლის მასალა 15 ათასი მანეთი დაუჯდა. მშენებლობაზე თვითონ მუშაობდა და მეზობლებიც ეხმარებოდნენ. ამ ფულს მან ორ წელიწადში მოუყარა თავი და ახლა ორსართულიანი სახლის ოთახებს ნივთებით აწყობს და ალამაზებს. სასტუმრო ოთახი ხალიჩებით მოფენილია. საძინებელ ოთახში ნიკელის საწოლებია, კარგი შიფონერი და წიგნების თარო დგას.

სოლომონი კოლმეურნეობაში ენერგიულად მუშაობს. ზაფხულობით ის გუთნის-დედათაა. ზამთარში მუშა-საქონელს უვლის, დაუზარელი კაცია და ამიტომ ყველას უყვარს.

○

სოფელ ბერბუკში მარტო სოლომონ გიგაური როდია შეძლებული. ამ სოფლის ყველა მოსახლე კოლმეურნეობის წევრია და ყველა კარგად ცხოვრობს. მდინარე ტორტლას პირად ყველა იშენებს სახლს, ახლებურად აწყობს ოჯახს. აი სტეფანე გიგაური, რომელმაც შარშან სესხის გათამაშებისას 500 მანეთი მოიგო და წელს თავდაცვის სესხს პირველმა მოაწერა ხელი. სტეფანეც კარგად ცხოვრობს. წელს ჩაუყარა საძირკველი ორსართულიან სახლს და ახალ წელს ახალ სახლში შეხვდება. გიგაურებს არც ილო რუსიტაშვილი ჩამორჩა. ილომაც შემოინარჩუნა ფული და ამ დღეებში ორსართულიან სახლში გადავა.

რომელი ერთი ჩამოვთვალო! სოფელ ბერბუკს ახალი უბნები ემატება განიერი ქუჩებით და კულტურულად მოწყობილი ეზოებით. ბერბუკში ამჟამად 36 კაცი იშენებს ორსართულიან სახლს. ეს პატარა საქმე როდია... ამდენ სახლს წინათ წელიწადში მთელ გორის მაზრაშიც არ აშენებდნენ...

ყოფილ ღარიბებს სამური ცხოვრება შეუქმნა იმ დიდმა ადამიანმა, რომელიც დაიბადა ქალაქ გორის ერთ პატარა სახლში. გენიალურმა სტალინმა შეძლებულობის გზაზე დააყენა საბჭოეთის მშრომელები, რომლებიც თავისუფლად, ლაღად და უმაგალითოდ ცხოვრობენ. ბერბუკელი კოლმეურნეები გამონაკლისი როდია. ასე შეძლებულად ცხოვრობენ დედამიწის ერთი მეექვსედის ადამიანები.

გარდა საცხოვრებელი ბინებისა, ბერბუკში აშენებენ კლუბს, სამკითხველოს და ელსადგურს. მთელი სოფელი რადიოფიცირებულია.

კარგი სახლი აუშენებია კოლმეურნეობის ორდენოსან თავმჯდომარეს ამხ. კოსტა აბალაკს. ორსართულიანი სახლი მწვანედ შეუღებავს და მწვანე სახლი ამწვანებულ ბაღში ამაყად დგას. კოსტა აბალაკს წინათ ორსართულიანი სახლი კი არა, პური ენატრებოდა. რა მალე იცვლება ადამიანის ცხოვრება, რა მალე შეუცვლიათ სახე გორსა და მის მახლობელ სოფლებს!

◆

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მშ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68,

მთავლიტის რწმუნებული ბ—[illegible]